F567/3402

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლის ხმა


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 11-12 (172)

ივნისი, 1967 წელი

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა



საბჭოთა პავილიონის საერთო ხედი მონრეალის გამოფენაზე.

საქართველო მონრეალის გამოფენაზე

ჩვენი რესპუბლიკა მონრეალის გამოფენაზე

მონრეალი კანადის ერთ-ერთი პროვინციის ცენტრია. მოსახლეობის რაოდენობით (დაახლოებით 3 მილიონი მცხოვრები) იგი პირველი ქალაქია კანადაში. მდინარე წმიდა ლავრენტის ნაპირებსა და კუნძულებზე გაშენებული ეს ქალაქი ქვეყნის სამრეწველო, სავაჭრო და საფინანსო გულია. აქ დღეს საერთაშორისო ვაჭრობა. მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოისწრაფიან აქეთ ბანკირები, სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, გამოქიქილი საქმოსნები, იგზავნება ათასობით სხვადასხვა სახის ექსპონატი, ბავშვების სათამაშოებით დაწყებული და დამთავრებული თვითმფრინავ-ლაინერებით.

ყოველ ჩვეულებრივ დღეს ბობოქრობს მონრეალის სავაჭრო ბაზარი. გამოფენილი სავაჭრო საქონლის დახლებთან დინჯად მიდი-მოდიან პირში სიგარაგარჭობილი კლიენტები, კამათობენ, ჩხუბობენ...

ეს ხდება ჩვეულებრივ დღეებში. მაგრამ წელიწადში ერთხელ აქ აუცილებლად უნდა მოხდეს რაიმე არაჩვეულებრივი. იგი ხშირად მხოლოდ რამდენიმე დღეს თუ გასტანს ხოლმე, მაგრამ ხანდახან თვეობით არ აძლევს მოსვენებას მონრეალელ თუ ნიუიორკელ, პარიზელ თუ ჰონკონგელ, მანილელ თუ სანტიაგოელ საქმოსნებს.

ასეა წელსაც, მონრეალში გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა — „ექსპო-67“, რომლის დევიზია „დედამიწა და ადამიანები“; გამოფენას აქვს თავისი ოფიციალურად გამოცხადებული მიზანიც: აჩვენოს მსოფლიო ეკონომიკის, მეცნიერების, მშენებლობის მიღწევები, ადამიანთა სულიერი და მატერიალური სიმდიდრე, საერთო დახასიათება მისცეს ადამიანის გენიას.

გამოფენის ამ ოფიციალურად გამოცხადებული მიზნის ტექსტი კომენტარებს არ საჭიროებს. ისედაც ნათელია, რომ ეს არის უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიება, რომელშიც, როგორც სარკეში, აირეკლება მსოფლიოს მრავალ ეროვნებათა ნამდვილი სახე.

ამ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებს ჩვენი სამშობლო — საბჭოთა საქართველო. ქართველი ერი თავისი კულტურის მიღწევებით წარსდგება მსოფლიოს წინაშე. აბა რა უნდა იყოს ამაზე სასიხარულო?! დიდი ისტორიული წარსულისა და ცივილიზებული ერი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე განადგურების საფრთხის წინაშე იდგა, დღეს კვლავ ავიდა თავისი დიდების მწვერვალზე!

მონრეალის გამოფენაში საქართველოს მონაწილეობა თქვენთვისაც სასიხარულო იქნება, ძვირფასო თანამემამულენო! სწორედ ამიტომ მივუძღვენით გაზეთის ეს ნომერი ამ დიდ ღონისძიებას.

თბილისში შენდება

გრანდიოზული ხიდი მტკვარზე

დედაქალაქის სამი დიდი ნაწილი ორჯონიკიძის, პირველი მაისისა და ლენინის რაიონები ერთმანეთს ცუდად უკავშირდება. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მდინარე მტკვარზე ჩელუსკინელთა ხიდიდან დიღმის ხიდამდე — ამ ვრცელ მონაკვეთზე, არც ერთი ხიდი არ არის. გარდა ამისა, არც რკინიგზაზე არსებობს გზაგამტარი, რომელიც უმოკლესი გზით დაუკავშირებდა ერთმანეთს ლენინის, ორჯონიკიძისა და პირველი მაისის რაიონებს.

მოკლე ხანში, ეს ხარვეზიც გამოსწორდება.

ვახუშტის ქუჩის გასწვრივ შენდება ახალი ხიდი, რომელსაც გააგრძელებს რკინიგზის გზაგამტარი. შეიქმნება სამი რაიონის საუცხოო შემაერთებელი მაგისტრალი.

ხიდის პროექტი განხილული და დამტკიცებულია. ხიდის მალის ნაგებობა ახალი პროგრესული კონსტრუქციისაგან შედგება. იგი რკინაბეტონის მთლიან კოჭს წარმოადგენს, რომლის შუა ნაწილის სიგრძე 80 მეტრს აღემატება. ასეთი კონსტრუქციის მალის ნაგებობა ჩვენს ქვეყანაში პირველია და, ბუნებრივია, როგორც მისი მუშა-პროექტირების, ისე მშენებლობის დროს მრავალი რთული და საინტერესო ტექნიკური საკითხის გადაჭრა გახდება საჭირო.

ის ყველაზე გრძელი და მაღალი ხიდი იქნება თბილისში. სიგრძე 200 მეტრია, სიგანე 27, სიმაღლე 18 მეტრი.

ხიდის მშენებლობა უკვე დაიწყო.

გაივლის 2-3 წელი, და ჩვენი დედაქალაქი კიდევ ერთი მკვიდრი ნაგებობით დამშვენდება.

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

ერთვნული საქმე

— მონრეალის გამოფენაში საქართველოს მონაწილეობა ეროვნული მნიშვნელობის საქმეა, — თქვა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ლომიძემ, — გამოფენის ექსპონატები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა საწარმოებმა გაგზავნეს მონრეალში, თვალსაჩინოდ გააცნობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საქმიან წრეებს საქართველოს კულტურასა და ხელოვნებას. გარდა ხელოვნების ექსპონატებისა, გამოფენაზე გამოტანილი იქნება უამრავი სიტყვიერი თუ ციფრობრივი ინფორმაცია, ფოტომასალა.


— თუ მიუღია ასეთ გამოფენებში საქართველოს ოდესმე მონაწილეობა?

— საქართველოს მრავალ მსოფლიო გამოფენასა და ბაზრობაზე გაუტანია თავისი სამრეწველო, სამეურნეო თუ სავაჭრო ნაწარმი, მაგრამ მონრეალის გამოფენა მაინც უველაზე დიდია თავისი მასშტაბით, აქ მსოფლიოს რამდენიმე ათეული ქვეყანა იღებს მონაწილეობას. საბჭოთა კავშირის პავილიონი, რომელშიც საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ჭართულ კუთხეს, ერთ-ერთი უდიდესია მთელ გამოფენაზე... ჟურნალისტების თქმით, „იგი ასახავს 1970 წელს 1967 წელში“. იქაური გარემო ახლა უზარმაზარ მდიდარ მუზეუმს ჰგავს. ასეთ გამოფენაში მონაწილეობა საპატიო საქმეა. უცხოელები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი პავილიონისადმი. ეს გასაგებიც არის. ბევრ ქვეყანაში უკვე იცნობენ საქართველოს როგორც უძველესი კულტურისა და გმირული წარსულის ერს. რუსთაველის გენიამ მსოფლიოს მოსდო საქართველოს სახელი.

— გაიყიდება თუ არა ექსპონატები გამოფენის შემდეგ?

— დიახ, საქმიანი წრეები წინასწარ მოითათბირებენ და მოსაწონ ექსპონატებს გაჰყიდიან. ვფიქრობთ, ქართული ექსპონატები მოწონებული იქნება. თბილისელმა და მცხეთელმა კერამიკოსებმა სულით და გულით ნაეთები რამდენიმე ათეული დასახელების კერამიკული ნაწარმი გაგზავნეს. გაიყიდება აგრეთვე ვერცხლის და ოქროს ქართული ნაწარმი, რომელიც თბილისის საიუველირო ფაბრიკამ დაამზადა.

ჩვენი უცხოელი თანამემამულეებისთვისაც ალბათ სასიხარულო იქნება საქართველოს მონაწილეობა ასეთ დიდ, მსოფლიო მნიშვნელობას ღონისძიებაში. საქართველო ხომ უველა ქართველის სამშობლოა, და, რასაკვირველია, მისი კარგი უველა ქართველს გაახარებს.



სურათზე: სსრ კავშირის პავილიონი ღამით.

წვიდა ლავრენტის ნაპირებზე

რეპორტაჟი

პრესის მასალების მიხედვით

ფერადებში, ნაირფერად მოხატული ბუკლეტები, მყვირალა რეკლამები, გაჩირაღდნებული პროსპექტები, ბრდღვიალა შუქით აჭრელებული ვიტრინები უკვე დიდი ხანია გაიუწყებენ მონრეალის საერთაშორისო გამოფენის „ექსპო-67“ შესახებ, რომელიც 28 აპრილს გაიხსნა კანადის ამ უდიდეს ქალაქში.

გაკრიალებული, მოასფალტებული გზები, ხიდები, სახელდახელოდ გასუფთავებული ქუჩები აერთებენ წმიდა ლავრენტის მდინარეში მოციფი სენტ-ელენისა და ნოტრ-დამის კუნძულებს მაკეის სანაპირო კონცხთან. კუნძულები ამ რამდინიმე ხნის წინათ უდიდეს სამშენებლო მოედნებს მოგაგონებდათ. პავილიონების ლითონის კონსტრუქციები ეწყო ირგვლივ. მერე „დეკორაცია“ თანდათან შეიცვალა, ლითონის ჩონჩხები ბეტონით აივსო, მინისა და პლასტმასის ბრჭყვიალმა თვალი მოსჭრა მონრეალის ცაში მონავარდე თვითმფრინავების მგზავრებს.

ათასობით ადამიანის თვალი იყო მიპყრობილი კუნძულებისაკენ, ობიექტივის ჯადოსნურ თვალს „მიჰქონდა“ მონრეალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების „ცისფერ ეკრანზე“... ასე რომ მონრეალის გამოფენის პავილიონთა მშენებლობა თითქმის მსოფლიოს თვალწინ მიმდინარეობდა. მსოფლიოს 70 ქვეყნიდან ჩამოსული მშენებლები აჩვენებდნენ თავიანთ ოსტატობას.

და აი, დასრულდა ესე ამბავი! სადღესასწაულოდ გაიხსნა ექვსი საერთაშორისო პავილიონი. „ადამიანი — მკვლევარი“, „ადამიანი და ჯანმრთელობა“, „ადამიანი და წარმოება“, „ადამიანი — შემოქმედი“, „ადამიანი და კვება“, „ადამიანი და საზოგადოება“... ყველა მათგანის ცენტრში დგას ადამიანი.

ბევრი ორიგინალურად გადაწყვეტილი ნაგებობით არის ახლა დამშვენებული კანადისა და მსოფლიოს ვაჭრობის ერთერთი „მოუსვენარი“ ქალაქი.

უზარმაზარი გადმოპირქვავებული პირამიდის სახით შეუქმნიათ კანადელებს საკუთარი პავილიონი, რომელსაც უზარმაზარი წარწერა ამშვენებს: „შეხვედრების ადგილი“. გამოფენის ბიულეტენში ჟურნალისტებმა ერთი მეტად უცნაური ისტორიაც კი ამოიკითხეს: თითქოს და დამლაგებელი ქალის მიერ პავილიონის ერთერთ მაკეტზე შემთხვევით დადგმულმა საფერფლემ უკარნახა არქიტექტორებს ასეთი უჩვეულო კონსტრუქციის იდეა. მაგრამ ასეა თუ ისე, კანადის პავილიონი ორიგინალური და უზარმაზარია.

ბევრია საინტერესოდ გადაწყვეტილი სხვა საგამოფენო შენობებიც. ეს უამრავი მოდერნული, მინისა და პლასტმასის ნაგებობები, რომლებიც კანადის ყველა პროვინციამ, მსხვილმა ფირმებმა და კომპანიებმა ააგეს, ერთიან კომპოზიციაშია, მნახველის ყურადღებას იპყრობს თავისი სისადავით და თანამედროვეობით.

ყველა ქვეყნის პავილიონებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. ცალკეულ გამოფენებსაც ვერ შევეხებით, რადგან გამოფენაში მსოფლიოს რამდენიმე ათეული ქვეყანა მონაწილეობს.

აშშ-ს პავილიონი განასახიერებს ალუმინისა და გამჭვირვალე პლასტიკის უზარმაზარ ბურთს. საინტერესოდ ნაგებია საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის და სხვა ქვეყნების საგამოფენო შენობები.


მსოფლიო გამოფენის სტატისტიკური პროგნოზებით „ექსპო-67“ მომწყობნი გამოფენის პერიოდში 12 მილიონი ტურისტისა და საქმოსნის ჩამოსვლას (გამოფენა აპრილიდან ოქტომბრამდე გასტანს) და 2 მილიარდ სუფთა მოგებას ელოდებიან. საკონცერტო და საგამოფენო დარბაზებში ყველას შეუძლია შესვლა; ერთდროულად 35 ათასი მნახველი ისმენს მუსიკას და ტკბება ხელოვნების ნაწარმოებთა ცქერით. დიდ დარბაზში, სადაც მთავარი ღონისძიება — ხელოვნების ფესტივალი ეწყობა, 3 ათას მაყურებელს იტევს. ფესტივალს 5 წამყვანი საოპერო დასი ემსახურება. ყურადღების ცენტრშია მოსკოვის სახელმწიფო დიდი თეატრი, იტალიის, — მილანის „ლა სკალა“, ვენის ოპერა და ბალეტი, სტოკჰოლმის სამეფო ოპერა და ჰამბურგის ოპერა.

„ექსპო-67“ ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობის დიდი დემონსტრაციაა. აქ ერთმანეთს ხვდება მრავალ ეროვნებათა დღევანდელი პოტენციალი, შემოქმედება, რომელსაც მეგობრობა და ერთიანობა უდევს საფუძვლად.

ამ გამოფენაში საქართველოს მონაწილეობაც ამიტომ გვახარებს. ნოტრ-დამის კუნძულზე აღმართულა საბჭოთა პავილიონი. სწორედ აქ, უამრავ ექსპონატებს შორის აქვს დათმობილი საკუთარი კუთხე საბჭოთა საქართველოს.

„ქართულ კუთხეში“ ჯერ სიწყნარეა, ყველაფერი „საქართველოს დღის“ მოლოდინშია; მანამდე სხვა ქვეყნების მოსამსახურე პერსონალს სჭირდება გამოიჩინოს თავისი სტუმართმოყვარეობა.

სამაგიეროდ დუღს მონრეალი. ბიზნესმენები დიდი მოგების მოლოდინში მოთმინებას კარგავენ. მთელი ქალაქი უზარმაზარ სასტუმროს ჰგავს, რომელშიც ყოველდღიურად ახალ-ახალი სტუმრები შედი-გამოდიან. მაგრამ მონრეალი ჯერ კიდევ ბევრი ახალი სტუმრის მოლოდინშია, მონრეალი ქართველებსაც ელოდება.



სურათზე: დამთვალიერებელთა რიგი სსრკ პავილიონთან.

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

თბილისს ამაყად დასცქერის „ქართველის დედა“. ეს 20 მეტრი სიმაღლის მონუმენტური ქანდაკება, რომელიც ახალგაზრდა მოქანდაკის რუსთაველის პრემიის ლაურეატის ელგუჯა ამაშუკელის ნიჭის ნაყოფია, თბილისის თითქმის ყველა კუთხიდან მოჩანს. როცა მას შეჰყურებ, გეჩვენება, თითქოს საუკუნეთა განმავლობაში იდგა იგი აქ, თასითა და მახვილით ხელში, ეგებებოდა მტერ-მოყვარეს.

ახალგაზრდა მოქანდაკის დიდი ნიჭი მარტო „ქართველის დედის“ ისტორიულ ქანდაკებაში როდი გამოჩნდა. ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, მტკვრის მარცხენა მხარეს, იქ, სადაც მეტეხის ტაძარი დგას, აღმართულია ბრინჯაოს ქანდაკება: ვახტანგ მეფე რაშზე ზის და ხელმართული გასცქერის თავის დაარსებულ ქალაქს...

ახალგაზრდობაშივე დადგა ელგუჯა ამაშუკელმა თბილისში, საქართველოს გულში ორი უკვდავი ძეგლი. ფართოა ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედებითი ინტერესები, რაც განაპირობებს მისი ჟანრების მრავალფეროვნებასაც. მრავალმა მისმა ნამუშევარმა მოიპოვა ხალხის აღიარება. „კახეთის“ მონუმენტის მოდელი მთელი კახეთის სიმბოლური სახეა. საინტერესოა მოქანდაკის ისეთი ნამუშევრებიც, როგორიც არის „რევოლუცია“, „იდილია“. ეს უკანასკნელი მოქანდაკის ახალი ნამუშევარია.

ელგუჯა ამაშუკელი მრავალმხრივი შემოქმედია. იგი წარმატებით მუშაობს გრაფიკაში, ძერწავს ბარელიეფებს და მედალიონებს, წერს ფერწერულ ტილოებს.

უაღრესად ხალხური და ორიგინალურია ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედება. სწორედ ამიტომ მიანიჭეს მას რუსთაველის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატის საპატიო წოდება.

მონრეალის გამოფენაზე მისი რამდენიმე ნამუშევარი გაიგზავნა. მათ შორის არის ზემოაღნიშნული „ვახტანგ გორგასალი“, დეტალი — დიდებული სახე ვაჟკაცი მეფისა.



სურათზე: გათუმი, პორტი — საქართველოს საზღვაო კარი.

მასპინძლობენ ქართველები

1967 წლის სექტემბერში ერთი დღე მონრეალის გამოფენაზე დაეთმობა საქართველოს! ამ დღეს საბჭოთა პავილიონის თავზე აფრიალდება საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა და აყდერდება საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი. ამ ოფიციალური შესავლის შემდეგ გაიღება პავილიონის კარი, საითაც გაეშურებიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული საქმოსნები და ტურისტები.

ქართული გამოფენა ჩვენი ეროვნული ტრადიციების, კულტურის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის ნათელი დემონსტრაცია იქნება. და რადგან ყველაფერი ეს ერთ დღეს უნდა მოეწყოს, ამიტომ გამოფენის მომწყობთა წინაშე მეტად რთული საკითხი იდგა: ისეთნაირად შეერჩიათ და დაელაგებინათ ყოველივე, რომ არ დაკარგულიყო სანახაობითი, აღქმითი ეფექტი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეს შესანიშნავად გაართვა თავი გამოფენის მომწყობმა კომისიამ. ჩვენ დღეს თითქმის მთლიანად „მოვივლით“ ქართულ გამოფენას, ძვირფასი მკითხველო, და ალბათ დარწმუნდებით ამ სიტყვების სიმართლეში.

მაშ ასე, ჩვენ წინ არის „საქართველოს დღის“ გეგმა. ყოველივე ზედმიწევნით აწონილ-დაწონილი და დაზუსტებული. მასში არავითარი ცვლილებები არ არის გათვალისწინებული, ამიტომ შეცდომებისგან დაზღვეული ვიქნებით...

...აჟღერდა საქართველოს ჰიმნი, მაღლა მიცურავს საქართველოს სახელმწიფო დროშა. გამოფენის კარი ღიაა მნახველებისათვის. მნახველთა პირველი ჯგუფი დაიძრა. აი ისინი უახლოვდებიან პავილიონის შესასვლელს, სადაც ქართულ ეროვნულ ტანსაცმლიანი ახალგაზრდა ქალ-ვაჟები დგანან. ახალგაზრდები ეგებებიან მნახველთა პირველ ჯგუფს და სამკერდე ნიშან-სუვენირს არიგებენ, რომელზეც გამოსახულია ამაყი ქართველის დედა, ხელში ფიალა და მახვილი რომ უჭირავს... სუვენირთან ერთად დამთვალიერებლებს გადასცემენ მხატვრულად გაფორმებულ ბუკლეტს „საბჭოთა საქართველოს“, რომლის ტექსტიც რამდენიმე ენაზეა დაბეჭდილი.

დამთვალიერებელთა ჯგუფი ნელა შედის დარბაზში. შესასვლელში გამოკიდულია საქართველოს უზარმაზარი რელიეფური რუკა, რომლის განმარტებითი ტექსტიც ნათლად აჩვენებს ჩვენი სამშობლოს მიღწევებს. მნახველი აქ გაეცნობა ქართველ მეჩაიეთა გმირობას, რომლებმაც სამშობლოს 230 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მისცეს, ნახავს რუსთავის მეტალურგიულ გიგანტს, ლაჯანურჰესს, ენგურჰესის მშენებლობას, აღტაცებული დარჩება კახეთის მეღვინეთა და მევენახეთა, ტყიბულის, ტყვარჩელის ქვანახშირის და ჭიათურის მარგანეცის მადაროების მუშათა წარმატებებით, დაუსწრებლად იმოგზაურებს საქართველოს კურორტებზე ტურისტული მარშრუტებით... განმარტებითი ტექსტი მსოფლიოს რამდენიმე ენაზეა დაბეჭდილი.

ამ უზარმაზარი რუკის წინ ხუთ ფართო სტენდზეა მოწყობილი ფოტოგამოფენა. დაახლოებით 40 ფოტო-ერთი თვალსაჩინოდ ადასტურებს რუკის განმარტებითი ტექსტის ციფრებსა და ფაქტებს...

...საქართველო მძლავრი მეტალურგიული მრეწველობის და მანქანათმშენებლობის ქვეყანაა: რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ქუთაისის ავტომობილის ქარხანა, თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანა და ა. შ. ამჟამად ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც გზავნიან თავიანთ პროდუქციას. მთელი სამრეწველო წარმოების დონემ 1913 წლის დონეს 40-ჯერ გადააჭარბა... საქართველო 1965 წლისათვის ყოველ დღენახევარში უშვებდა იმდენ ენერგიას, რამდენსაც გამოიმუშავებდა საქართველოს ყველა ელექტროსადგური მთელი 1913 წლის განმავლობაში... ძალზე სწრაფად გაიზარდა ქვანახშირის და მარგანეცის მადნის მოპოვება...

სტენდები თანმიმდევრობით მოუთხრობენ დამთვალიერებლებს საქართველოს მიღწევებზე... დამთვალიერებლებს გადასცემენ ქართული გამოფენის — „საქართველოს დღის“ პროგრამას, რომელიც ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზეა დაბეჭდილი.

...სწორედ ამ დროს ეთერში დაირხევა ქართული მელოდია, მერმე კი დიქტორის სასიამოვნო ხმა გაისმის: ყურადღება, ყურადღება, ლაპარაკობს საბჭოთა საქართველო! გამოფენის ყველა დარბაზის დამთვალიერებლები მოისმენენ ქართულ სიტყვას, რომელიც თარგმნილი იქნება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე; საუბრებსა და მოხსენებებს, რომლებიც სპეციალურად იქნება შერჩეული; მათ დაეთმოს ფოტო და ჩანომაჯალა ტელევიზიისათვის სათანადო ქართული მუსიკის აკომპანემენტით.

მთელი დატვირთვით იმუშავებს პრეს-ცენტრი. გამოვა ბიულეტენები, ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომლებშიც დაბეჭდილია გეოგრაფიულ-ისტორიული ხასიათის წერილები, ინფორმაციები და სტატიები საქართველოს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე. პრეს-ცენტრი მოამზადებს სტატიებს, წერილებსა და ფოტომასალას უცხოეთის პრესის სხვადასხვა საგანტაობისათვის; მონრეალში აკრედიტებულ უცხოელ ჟურნალისტებს ახსნა-განმარტებას მისცემს პრეს-ცენტრის სპეციალური ჯგუფი, რომელიც მომსახურებას გაუწევს ტურისტ დამთვალიერებლებსაც.

სათანადო ინფორმაციით „შეიარაღებული“ დამთვალიერებელი შედის სამასი კვადრატული მეტრი ფართობის ნათელ დარბაზში, სადაც თვალსაჩინოდ იქნება გამოფენილი ქართული ხელოვნების ექსპონატები — ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა, ჭედურობა, კერამიკული და ოქრო-ვერცხლის ნაწარმი.

ექსპონატები, რომლებიც ნოტრ-დამის მწვანე კუნძულზე აშენებულ ამ ნათელ პავილიონშია გამოფენილი, ისეა შერჩეული, რომ ნათელ წარმოდგენას შეუქმნის დამთვალიერებელს საქართველოს უძველეს კულტურაზე, გააცნობს დღევანდელ ხელოვნების მიღწევებს.

ნეონის შუქზე ელვარებს თბილისის საიუველირო ფაბრიკის მუშაობისა და მხატვრების, მთელი კოლექტივის მიერ უდიდესი ოსტატობით შესრულებული ვერცხლის აზარფეშები ქართული ეროვნული ტანსაცმლის ასახავს.

„ატლანტისის“ ფურცლებზე

საქართველო უცხოელთა თვალით


მთელ მსოფლიოშია ცნობილი 1930 წელს შექმნილი ციურიხის გამომცემლობა „ატლანტისი“. ამ გამომცემლობას აქვს საკუთარი ორგანო — ჟურნალი „ატლანტისი“. ამ ჟურნალში უმთავრესად უცხოეთის ქვეყნებისა და მხარეთა აღწერილობა-დახასიათება იბეჭდება. თავისი ერთ-ერთი ნომერი „ატლანტისმა“ საქართველოს მიუძღვნა.

ჟურნალის საქართველოსადმი მიძღვნილი ნომერი მრავალფეროვანია. მასში უხვად წარმოდგენილია სტატიები და ფოტოილუსტრაციები საქართველოს კულტურის, ბუნების, ლიტერატურის, ისტორიის, მუსიკის საკითხებზე.

ჟურნალი იხსნება ჟურნალის რედაქტორის **შარლ ჰუმელის** წერილით — „საქართველო“, რომელშიც ავტორი მკითხველებს აცნობს საქართველოს უძველეს კულტურას. ეს ერთგვარი მეთაური წერილიც არის, რომლის მიზანია მკითხველებს უჩვენოს, რომ კავკასიაში ცხოვრობს უძველესი კულტურისა და ენის მჭონე, ევროპელი ხალხი. „ამ ხალხის გაცნობა დიდად გაამდიდრებს მკითხველთა შემეცნებას, განუზომლად დიდ სულიერ სიამოვნებას მიანიჭებს მათ“, — ამბობს დასასრულ ავტორი.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი სტატიები: პროფესორ **ერნსტ ვინკლერის** — „ქართული ლანდშაფტი“, პროფესორ **ნიკო ჩუბინიშვილის** „შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება“; ქართული მუსიკის შესახებ წერს **რეჯებ ჟორდანია**, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების შესახებ მკითხველებს ესაუბრება **ტ. კაჩენკო**, ქართული ენის საკითხებს უძღვნის თავის წერილს ცნობილი ლინგვისტი **იოჰან კნობლოხი**. ქართულ ლიტერატურას მიმოიხილავს ცნობილი მწერალი და ლიტერატურის სპეციალისტი დოქტორი **კურტ ჰოჯოფი**. მიმოხილვაში დაბეჭდილია ქართველი პოეტების ლექსების ნაწყვეტები (თარგმანი შესრულებულია **როგერტ გლაისშტაინერის** მიერ)!.

გარდა ზემოჩამოთვლილი მასალებისა, ჟურნალში უხვად არის ინფორმაციული ხასიათის წერილები: ჟურნალის ბოლო გვერდზე დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას ლექსი „არწივი“ და მისი გერმანული პროზაული თარგმანი. ფართოდ წარმოდგენილია ფოტომასალა. აქ შეხვდებით საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ ფოტოებს. ჟურნალის ყდას ამშვენებს საქართველოს უძველესი ქალაქის მცხეთის პანორამა. ჟურნალში 40-მდე ფოტოსურათია, მათი დიდი ნაწილი კულტურის ძეგლებს, თბილისის ხედებს, ქართულ ლხინსა და ეროვნულ ტანსაცმელს ასახავს.



სურათზე: სსრკ პავილიონის დამთვალიერებლები.

საქართველო ეროვრეპლის ბაეროფენაზე

ლი ვაზივით ჩახვეული ორნამენტით, ყავის სერვიზები, ღვინის დოქები, ჭიქები, სურები, მოოქროვილი თეფშები, ვერცხლის დანა-ჩანგალი, ლამაზი თვლებით დამშვენებული ოქროს ბეჭდები და მრავალი სხვა. მაყურებლის მზერას იპყრობს ქართველ მხატვართა ნამუშევრები — გ. თოიძის, ლ. ძაძამიძის, ე. კალანდაძის, თ. მირზაშვილის და სხვათა გრაფიკული და ფერწერული ტილოები, გ. ოჩიაურის, ელ. ამაშუკელის და ბ. ციბაძის სკულპტურული ნამუშევრები, ქართული ჰედური ხელოვნების ნიჭიერი წარმომადგენლების ი. ოჩიაურის, ქ. გურულის, დ. ყიფშიძის და სხვათა მაღალი ოსტატობით შესრულებული კომპოზიციები, ჟ. ფორჩხიძის, მ. ქართველიშვილის, შ. ნარიმანიშვილის კერამიკული ნამუშევრები და მრავალი სხვა. აქვე მნახველები დაათვალიერებენ თბილისის კერამიკული კომბინატის, მცხეთის კერამიკული კომბინატის და საქართველოს სხვადასხვა საწარმოების მიერ გასაყიდად გამოგზავნილ ექსპონატებს, ერთი კუთხე ეთმობა ქართულ წიგნს, როგორც თარგმნილ ლიტერატურას, ისე ეროვნულს, ვრცლად არის წარმოდგენილი ქართული პერიოდული გამოცემები, — გაზეთები, ჟურნალები... კიოსკებში, რომლებიც გამოფენის ყოფილ კუთხეში დგას, იყიდება ქართული ეროვნული სუვენირები, — „რუსთაველი 800“, „ქართვლის დედა“, „თბილისი“, „ვახტანგ გორგასალი“ და მრავალი სხვა...

გამოფენის დათვალიერების შემდეგ მნახველები საკონცერტო დარბაზში შევლენ, სადაც მათ წინაშე წარსდგება ქართველ მომღერალთა და მსახიობთა 15 კაცისაგან შემდგარი ბრიგადა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან რესპუბლიკის სახალხო არტისტი მომღერალი მედეა ამირანაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მომღერალი ნოდარ ანდღულაძე. პიანისტი თენგიზ ამირეჯიბი, მოცეკვავეთა ტრიო, 7 კაცისაგან შემდგარი მომღერალთა ანსამბლი „გორდელა“ და სატრადო ჯგუფი...

ქართველ მსახიობთა გამოსვლით დაიწყება საქართველოს დღის მეორე ნაწილი. მნახველებს ბევრი საინტერესო ღონისძიება მიიზიდავს. მათ საშუალება ექნებათ უსმინონ ქართულ მუსიკას, უცქირონ ტელეგადაცემებს, მონაწილეობა მიიღონ ტელევიქტორინაში. მასში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სპეციალურად დაწესებული პრიზებით — ქართული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებით.

ამ დროს, კონცერტის პარალელურად, გამოფენის კინოდარბაზების ეკრანები დაეთმობა ქართულ ფილმებს. ხუთ სეანსად ნაჩვენები იქნება მხატვრული, დოკუმენტური და მულტიპლიკაციური ფილმები, მაყურებლები უკვე მოძრავი ეკრანით იმოგზაურებენ საქართველოში, დატკბებიან მისი იშვიათი ბუნების სილამაზით, გაეცნობიან ქართველ მუშებს, სტუდენტებს, გლეხებს...

დასასრულ კი თავის ხვავსა და ბარაქას, სტუმართმოყვარეობას, ულამაზეს ტრადიციებს უჩვენებს ქართული სუფრა...

„მრავალჟამიერი“ მაღლა ასწევს გამოფენის სასადილო დარბაზის ჭერს. ქართული ღვინის არომატი და მწვადის ოხშივარი ვის არ მოეწონება, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარია ის, რომ ამ „მსოფლიო მაგიდაზე შეისმება ჩვენი სამშობლოს — საქართველოს სადღეგრძელო!..

დაილოცოს მისი მიწა!

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

თბილისელ კერამიკოსთა ნახელავი

„სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტი ესტუმრა თბილისის კერამიკული კომბინატის დირექტორს ვ. ურუშაძეს და რამდენიმე კითხვა მისცა მას.

— რა გაგზავნა თქვენმა კომბინატმა მონრეალში?

— ჩვენი კომბინატი უხვი ექსპონატებით წარსდგა ამ დიდ გამოფენაზე. 10 დასახელების 1.350 ცალი კერამიკული ნაწარმი ამშვენებს პავილიონის ქართულ კუთხეს. მცირე ჭურები, ღვინის სასმისები, ჭინჭილები და სხვ. ძირითადად სასმისები გავგზავნეთ. არის რამდენიმე სუვენირიც. თვითეული მათგანი სახელდახელოდ არის შეფუთული და დამუშავებულია ეთიკეტით. შევეცადეთ, რაც შეიძლება მრავალფეროვანი ნაწარმი შეგვერჩია. ვფიქრობთ, მოწონებას დაიმსახურებს.

— ჩვენს მკითხველებს აინტერესებს კომბინატის „ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან“.

— ქართული კერამიკული ნაწარმი ყველას მოსწონს... გასულ წელს ჩვენი ნიმუშები პოზნანის საერთაშორისო ბაზრობაზე გავგზავნეთ და წარმატებაც ხვდათ წილად. გარდა ამისა, ვიღებთ შეკვეთებსაც სხვადასხვა გამოფენისათვის. ამჟამად ექსპონატებს ვამზადებთ ალჟირის საერთაშორისო ბაზრობისათვის, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკაც იღებს მონაწილეობას. 400 ცალი სუვენირი უნდა გავგზავნოთ.

— ვინ იყვნენ მონრეალში გაგზავნილი ექსპონატების ავტორები და „შემსრულებლები“ და ვინ ამზადებს ამჟამად ალჭირის ბაზრობისათვის სუვენირებს? გეთხოვთ გაგაცნოთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

— სპეციალურად, რასაკვირველია, არავინ მოგვიწვევია. ჩვენს კომბინატს კარგი სპეციალისტები, ოსტატები ჰყავს. კომბინატის ყოველი წარმატება მთელი კოლექტივის დამსახურებაა. გამზადებული ნაწარმი რთულ პროცედურას გადის. მხატვარი ხატავს მოდელს, რისგანაც ამზადებენ ფორმას, მერე ჩამოასხამენ, იგი კვლავ მხატვართან ბრუნდება. ერთი სიტყვით, თვითეულ ნიმუშს მრავალი ხელი ქმნის. სოსო მელაშვილი, ევგენია ხაჩიძე, გიორგი კობერიძე და მრავალი სხვა. ტექნოლოგმა ნინო ხარებელიამ ახალი ფერადი ჭიქურები დაამუშავა, ისინი ახალი სიტყვაა თანამედროვე ქართულ კერამიკულ ხელოვნებაში...

— რას გვეტყვით მომავლის გეგმებზე?

— მომავალზე უმჯობესია სხვა დროს ვისაუბრო „სამშობლოს ხმის“ მკითხველებს, რადგან კონკრეტული გეგმები ჯერ ხელთ არა გვაქვს, ჩვენი კომბინატი ხომ შეკვეთებზე დაყრდნობით მუშაობს. წლევანდელ გეგმებზე კი გესაუბრეთ. მთელი კოლექტივის სახელით მინდა ქართული სალამი გადავცე „სამშობლოს ხმის“ მკითხველებს და ვუსურვო მათ ჯანმრთელობა ჩვენი ქართული კულტურის, ერის საკეთილდღეოდ.

— გმადლობთ.



სურათზე: თბილისის კერამიკული კომბინატის მხატვრები მ. აბუთიძე და გ. ელიზაროვა.

მცხეთაში, სვეტიცხოვლის გვერდით

შესანიშნავად მოხატული ფიალები, დოქები, ვაზები ჩაუმწკრივებიათ ქარხნის ნიმუშების ოთახში. მნახველი მათ უყურადღებოდ ვერ ჩაუვლის. მცხეთის კერამიკული ფაბრიკის ამ ნაკეთობებს დღეს მარტო ჩვენს ქვეყანაში როდი იცნობენ და აფასებენ. მათი სილამაზე, სიმტკიცე, სინარნარე, თანამედროვე სტილი საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაშიც არის ცნობილი. ქარხნის კოლექტივის მიერ დამზადებული დოქები, სასმისები, დეკორატიული ჭურჭელი ამშვენებს თბილისელი მუშისა თუ ლონდონელი ჯენტლმენის ბინებს.

მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, რამდენი შრომა, კირკიტი, ნებისყოფა, მოთმინება სჭირდება მათს დამზადებას. ჯერ ერთი, თვითონ თიხის შეზელის და დამუშავების პროცესი მოითხოვს „ორიგინალობას“, მერე კი ხელიდან ხელში გადადის ყელმოღერებული სურა. უკანასკნელად იგი, ისევე როგორც თავისი დამუშავების პირველ სტადიაში, კვლავ მხატვრის ხელში გაივლის.

ქართულ კერამიკულ ხელოვნებას ათასობით წლის ისტორია აქვს. ოდითგანვე გამოირჩეოდა იგი „საკუთარი ხარისხით“. ამიტომ ქართველი კერამიკოსები ყოველნაირად ცდილობენ განაგრძონ ძველ ქართველ ხელოვანთა ტრადიციები.

აქ ერთი წუთითაც არ წყდება შემოქმედებითი პროცესი. იხატება ახალ-ახალი ნიმუშები, იძერწება ფორმები, ჩუქურთმები ამოჰყავთ ღრმა ფიალებზე, ერთი სიტყვით, იბადება ქართული კერამიკული ნაწარმი, რომლის ხარისხზეც მეტყველებს მრავალი დაკვეთა, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან რომ მოდის.

მონრეალის გამოფენაზე კომბინატმა ყველაზე მეტი ექსპონატი გაგზავნა. 14 დასახელების 2.000-ზე მეტი ცალი სხვადასხვა სასმისი, დოქები, სერვიზები, ჭინჭილები, აზარფეშები.

მცხეთელი მხატვარი-ოსტატების ეკ. ბოლქვაძის, ა. ბედოშვილის, რ. ფხოველიშვილის, ხელოსნების კ. ირემაშვილისა და უ. არაბულის ნახელავმა შორეული კანადის საერთაშორისო გამოფენის თაროები დაამშვენა. მცხეთელი კერამიკოსები იცავენ ძველი ქართული კერამიკული ხელოვნების ტრადიციებს. როცა რაიმე ახალს ქმნიან, სწავლობენ ძველს. შესასწავლი კი ძალზე ბევრია. ალბათ ამიტომაც არის კომბინატის ნაწარმში ასე უხვად სიახლე და მრავალფეროვნება.

ძველ ქართულ ქალაქში, სვეტიცხოვლისა და სამთავროს, ჯვარისა და ბებრის ციხის გვერდით, იქმნება ჭეშმარიტად ქართული ხელოვნება.



„პავილიონი № 1“ — ასე უწოდებენ მონრეალის გამოფენაზე საბჭოთა პავილიონს. ამაზე მეტყველებენ არა მარტო დამთვალიერებელთა უსასრულო ნაკადი და შთაბეჭდილებათა წიგნის ჩანაწერები (რომელშიც ხშირად შეხვდებით ძახილის ნიშნებს და სიტყვებს „ფანტასტიკურია, „შესანიშნავია“, „დიდებულია“, „ზღაპრულია“), არამედ გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის კომენტარები. „საბჭოთა პავილიონი უმშვენიერესია, მისი წარმატება უდავოა!“ — წერს კანადის ერთ-ერთი დიდი გაზეთი „პრესა“. „საბჭოთა ექსპოზიცია არაჩვეულებრივად მიმზიდველი სანახაობაა“, — აცხადებს „ურნალ დე მონრეალი“. „ეს არის საბჭოთა კავშირის ტექნიკური და სოციალური მიღწევების დიდი დემონსტრაცია“ — წერს კანადის „გაზეტტი“.

სურათზე: დამთვალიერებლები ეცნობიან საბჭოთა პავილიონის ექსპონატებს.

ქართული ფილმი — ოკეანეს იქით

მონრეალში ქართული კინოს ოსტატებიც უჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას. ამ უდიდესი გამოფენისათვის უკვე მზად არის რამდენიმე ფილმი, რომლებშიც ჩვენი კინემატოგრაფისტები შეეცადნენ სრულყოფილად გადაეცათ უცხოელი მაყურებლებისათვის ის უძველესი კულტურა და ხელოვნება, ქართველ ხალხს რომ შეუქმნია.

ქართული სუფრის ქებათა-ქება თვითონ ჩვენი ხალხის ქებათა-ქებაც იყო ყოველთვის.

სწორედ ამიტომ გადაწყვიტა სტუდიის კოლექტივმა შეექმნა ფილმი, რომელიც მაყურებელს გააცნობს ქართულ სამზარეულოს. „გვეწვიეთ ქართულ სუფრასთან“, ასეთია სათაური ორნაწილიანი ფერადი კინოსურათისა, რომელიც ვ. მიქელაძემ შექმნა (ოპერატორი ი. ონოფრიშვილი).

ჩვენს ეროვნულ სპორტულ თამაშობას „ცხენბურთს“ გააცნობს მაყურებელს რეჟისორ თ. თაყაიშვილის ერთნაწილიანი კინოსურათი „იცნობდეთ — ცხენბურთი“.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა წარმატებებს მიაღწია საქართველომ მის მიწაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე. ეს წარმატებები დიდია სახალხო მეურნეობისა და კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის სარბიელზე. ახლა საქართველოს, მის ზურმუხტოვან მთასა და ბარს, ფართო ჟურებსა და პროსპექტებს, მის შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე ხალხეთისა და აჭარის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ასეთ შემოსავალს ცალკეული საკოლმეურნეო ბრიგადებიც იღებენ ხოლმე.

საქართველო მონრეალის გამოფენაზე

ასე იზარდა

ციფრებისა და ფაქტების ენით

□ **მრეწველობა.** საქართველო მძიმე ინდუსტრიისა და მანქანათმშენებლობის რესპუბლიკაა. საბჭოთა წყობილების წლებში აშენდა 1.000-ზე მეტი მსხვილი საწარმო, გაფართოვდა და სრულყოფილი გახდა ძველი ქარხნები და ფაბრიკები. ბევრ მათგანში განხორციელებულია წარმოების კომპლექსური ავტომატიზაცია და მექანიზაცია. ინდუსტრიული კერები აღიმართა აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში. სამრეწველო წარმოების 1965 წლის მოცულობამ 1913 წლის დონეს 40-ჯერ გადააჭარბა.

სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზა ეყრდნობა მდიდარ ბუნებრივ რესურსებს, უმთავრესად ჭვანახშირსა და მთის მდინარეებს. ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე დაიწყო საქართველოში ელექტროფიკაციის სამუშაოები, როცა მწყობრში ჩადგა მტკვრის, რიონის, აჭარისწყლის, ალაზნის ჰიდროელექტროსადგურები, აგრეთვე რამდენიმე თბოელექტროსადგური. ომის შემდეგაც აშენდა მრავალი ჰიდროელექტროსადგური — შაორჰესი, ლაჯანურჰესი, ენგურჰესი, რომლის მშენებლობაც დასასრულს უახლოვდება.

მთლიანად საბჭოთა პერიოდში შეიქმნა შავი და ფერადი მეტალურგია. 1950 წელს მწყობრში ჩადგა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ტექნიკურად ერთ-ერთი საუკეთესოდ მოწყობილი საბჭოთა მეტალურგიულ საწარმოებს შორის.

ზესტაფონში მუშაობს ფეროშენადნობთა მძლავრი ქარხანა.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით ვითარდება ქიმიური მრეწველობა, მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგები.

□ **სოფლის მეურნეობა.** ქართული მიწათმოქმედების კულტურას რამდენიმე ასეული წლის ისტორია აქვს. კოლხიდიდან წაიღეს რომაელებმა თავიანთ სამშობლოში ალუბალი. ხორბლის კულტურის 15 სახეობიდან საქართველოში თერთმეტია გავრცელებული. ისტორია ამტკიცებს, რომ საქართველო მსოფლიოში ვაზის კულტურის ერთ-ერთ მთავარ კერას წარმოადგენს. ჩვენს სამშობლოში 400-მდე დასახელების ვაზი ხარობს.

მოკლე ხანში საქართველო ერთპიროვნული წვრილგლეხური მეურნეობის კვეყნიდან მძლავრი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კვეყნად იქცა. 1966 წლისათვის საქართველოში 1.431 კოლმეურნეობა და 170 საბჭოთა მეურნეობა არსებობდა. ყოველი მესამე კოლმეურნეობის საშუალო წლიური შემოსავალი 100 ათას მანეთს შეადგენს, ხოლო კახეთის, აფხაზეთისა და აჭარის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ასეთ შემოსავალს ცალკეული საკოლმეურნეო ბრიგადებიც იღებენ ხოლმე.

□ **ჩაი** ყველაზე ახალგაზრდა კულტურაა საქართველოში, მაგრამ მას უკვე წამყვანი ადგილი უჭირავს. ჩაის პლანტაციების ომამდელი საერთო ფართობი 894 ჰექტარს შეადგენდა, ახლა 61 ათასს ჰექტარზე გადაჰქიმა „მწვანე ოქროს“ ამობინებული პლანტაციები. გასულ წელს ქართველმა მეჩაიეებმა 230 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

□ **ძართული** მიწათმოქმედების სიამაყეს წარმოადგენს **მევენახეობა.** საქართველოს 67 რაიონიდან მევენახეობას მისდევს 60. მევენახეებმა 1965 წელს 244 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდეს სამშობლოს. ვენახების საერთო ფართობი 150 ათასი ჰექტარია, ეს სამჯერ მეტია 1913 წელთან შედარებით. 1970 წლისათვის ვენახების ფართობი 45 ათასი ჰექტარით გაიზრდება.

ქართულ **ღვინოებს** მსოფლიოს ყველა დიდ ქვეყანაში იცნობენ.

□ **სოფლის** მეურნეობის დარგებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **მეთამბაქოობას, მეციტრუსეობას, სპეციალურ ტექნიკურ კულტურებს.** საქართველოში 40 სახეობის სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები ხარობს. 9 ათას ჰექტარზე მეტი უჭირავს **მანდარინის, ლიმონის** და **ფორთოხლის პლანტაციებს.** 1970 წლისათვის მათი ფართობი 15 ათას ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დღითიდღე მაღლდება მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დონე. გაზეთულ სამუშაოზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ციფრები: 1940 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ითვლებოდა 512 კომბაინი, 1953 წელს — 1.115, 1965 წელს — 1.700. მთელი კოლმეურნეობების 78 პროცენტი და საბჭოთა მეურნეობების 98 პროცენტი ელექტროფიცირებულია. ბაღებით მიმდინარეობს ახალი მიწების ათვისება. შრება კოლხეთის ჭაობები. ირწყვება ქართლ-კახეთის გვალვიანი რაიონები. 1965 წლისათვის ამოშრობილი მიწების ფართობმა 365 ჰექტარი შეადგინა. შენდება ახალი სარწყავი სისტემები ქვედა სამგორის, ზემო ალაზნისა და სხვ.


□ **ვაჭრობა.** სახალხო მეურნეობის მრავალმხრივმა განვითარებამ, პროდუქციის ხარისხის მაღალმა დონემ შორს გაიტანა საქართველოს სამრეწველო პროდუქციის თუ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტებს. ყოველივე ამან გაფართოვა რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას სავაჭრო ურთიერთობა აქვს საზღვარგარეთის 60 ქვეყანასთან. საქართველოს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს ბაზრებზე გააქვს მარგანეცის მადანი, ნავთობპროდუქტები, ბარიტი, მარმარილოს ნაწარმი, ფეროშენადნობები, მილები, სხვადასხვა სახის ჩარხები, ელმავლები, შესადუღებელი მოწყობილობა, ელექტროვიბრატორები, არტეზიული ტუმბოები, ჩაის ფაბრიკების მოწყობილობა, ზუსტი ხელსაწყოები, მიწისათხრელი მანქანები, საზღვაო კატერები, პლასტმასის ნაწარმი, კაპრონის წინდები, სამკურნალო პრეპარატები, კოფეინი, კონიაკი, სუფრის, დესერტული და ტკბილი ღვინოები, შამპანური, მინერალური წყლები, ჩაი, თამბაქო, ხილი, ხილის კონსერვები და ა. შ. ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

საზღვარგარეთთან ეკონომიური ურთიერთობის ზრდას ხელს უწყობს საქართველოს სავაჭრო პალატა — საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

ვარე ხალხს გააცნობს რეჟისორ თ. თაყაიშვილისა და ოპერატორ ვ. კურიანის ერთნაწილიანი ფილმი „საქართველოს რესპუბლიკა“ იმათ, რომლებსაც არ ჰქონიათ ბედნიერება ეხილათ „მზის და ვარდების მხარე“ — თბილისი, ინდუსტრიული ქუთაისი, განახლებული კოლხეთი...

სიმღერა ხომ ჩვენი ხალხის თანამგზავრია ჭირსა და ლხინში. მარტო ქართული „ლაშქრული“ ძილს უფრთხობდა ჩვენს მამულში შემოსულ მტერსა და ორგულს. და თუ ჩვენმა ხალხმა აქამდე მოიტანა ყოველივე კარგი და ეროვნული, რაც კი გააჩნდა, ამაში მისი კარგი





სიმღერისა და ცეკვის მადლიც ურევია. მონრეალის გამოფენაზე მაყურებლებს სამუალება ექნებათ ნახონ და მოისმინონ განუმეორებელი ქართული მრავალხმიანი სიმღერა და ცეცხლოვანი და ვაჟკაცური ცეკვა. უკვე მზად არის ფილმი „ქართული მელოდიები“, რომლის რეჟისორია ზ. კაკაბაძე (ოპერატორი შ. შიოშვილი).

დოკუმენტურ ფილმებთან ერთად მონრეალში ნაჩვენები იქნება ქართული მხატვრული ფილმები — „ჯარისკაცის მამა“, „ხევსურული ბალადა“ და „შეხვედრა წარსულთან.

ვ. მარდალეიშვილი.

• • •

სურათებზე: კადრები ფილმებიდან „ჯარისკაცის მამა“ (ზემოთ) და „შეხვედრა წარსულთან“.

იქ, სადაც ოქრო და ვერცხლია

უძველესი ხელოვნების მემკვიდრენი

ეს არის სამყარო, რომლისთვისაც უცხოა ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის დამახასიათებელი ხმაური, ფუსფუსი, სიჩქარე, ტემპი. აქ ჯერ კიდევ არ შემოჭრილა და ალბათ კიდევ დიდხანს ვერ მოიკიდებს ფეხს ავტომატური დაზგები და წნეხები. ეს სრულიად „სხვანაირი“ ფაბრიკაა, „ოქრო-ვერცხლის“ ფაბრიკა, სადაც ყველაფერი ადამიანის თითებს ემორჩილება, ყველაფერი კეთდება თუნუქგადაკრულ ხის დაზგებზე, რომლებიც არ ხმაურობენ.

ოქრო და ვერცხლი ეშვიათ ლითონებად ითვლება, ამიტომ მათზე მუშაობაც იშვიათ ოსტატობას მოითხოვს.

ლითონის დამუშავება საქართველოს უძველესი ტრადიციული ხელოვნებაა. არქეოლოგების დასკვნით ოქრო-ვერცხლის, თიხის დამუშავების ხელოვნება საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში ჩაისახა. თავისი მხატვრული დირებულებებით და თავისებური ჩუქურთმებით, შებურვისა და ტვიფრვის ოსტატობით ქართული ოქრომჭედლობა და ვერცხლის დამუშავება ყოველთვის გამოირჩეოდა. ჩვენამდე მოღწეული ოქრო-ვერცხლის იშვიათი ნიმუშები ბევრს მეტყველებენ მათი შემქმნელების უბადლო ოსტატობაზე.

ქართული საიუველირო ხელოვნება დღესაც განაგრძობს წინაპართა სახელო ტრადიციების გზით სიარულს.

თბილისის საიუველირო ფაბრიკა ამ ოცდაზუთიოდე წლის წინათ შეიქმნა ძველი თბილისის საოსტატოების, ათასგვარი საამქროების ბაზაზე. პირველად ამ „აკინძულ“ ფაბრიკას არ ჰქონდა კოლექტიური მუშაობის გამოცდილება, მხოლოდ ერთეული პიროვნებები წყვეტდნენ ყოველგვარ შემოქმედებითს საკითხებს. ამიტომ პროდუქტიულობა ნაკლები იყო, თუმცა ოსტატთა ნახელავს წუნს ვერ დასდებდით.

ყველაფერი შეიცვალა, როცა ამ 15 წლის წინათ ფაბრიკას ხათაეში ჩაუდგა გამოცდილი მხატვარი ბ. გოგოლაძე. შრომისუნარიანმა ხელმძღვანელმა გარს შემოიკრიბა მხატვრების, ოსტატების მრავალრიცხოვანი კოლექტივი, და ფაბრიკის ნაწარმი სულ უფრო უხვად გამოჩნდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის მაღაზიებში.

ფაბრიკის ნაწარმმა მოკლე ხანში გაითქვა სახელი. ახლა ქართველ ოსტატთა ხელით დამზადებულ სურებსა და აზარფეშებს, ბეჭდებს, ნაირფეროვან სუვენირებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სავაჭროებში შეხვდებით. ისინი ამშვენებენ გამოფენებს, ბინებს, რესტორანებს, კულტურულ დაწესებულებებს.

თბილისელი იუველირები თავიანთ ნაწარმს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გზავნიან. ყოველწლიურად მოდის შეკვეთები იაპონიიდან, რუმინეთიდან, საფრანგეთიდან.

— რომელიმე დიდ გამოფენაზე ან ბაზრობაზე გასაგზავნი ექსპონატების შეკვეთები ყოველწლიურად გვაქვს, — თქვა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა შ. მამალაძემ, როცა სიტყვა მონრეალის საერთაშორისო გამოფენაზე ჩამოვაგდეთ. საუბარში მთავარი მხატვარი ა. ასატუროვიც ჩაერია და სწორედ მან გაგვაცნო ქარხნის წლევანდელი „საგარეო ურთიერთობა“.

ყოველწლიურად ეწყობა საიუველირო ფაბრიკების საკავშირო კონკურსი. წელს, როგორც ყოველთვის, ქართველმა იუველირებმა პირველი ადგილი დაიკავეს. მაგრამ ეს როდი იყო ყველაზე მთავარი ფაბრიკის წლევანდელ ცხოვრებაში. მალე თბილისში ქართველმა ოქრო-ვერცხლმჭედლებმა საბჭოთა კავშირის ყველა საიუველირო ფაბრიკის მხატვართა სემინარი მოაწყეს. ასეთი საპატიო მასპინძლობის უფლება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ხოლმე. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებით ცხოვრებაში.

სწორედ ამ ღონისძიებას მოჰყვა შეკვეთების ნაკადი, რომელთა შორის იყო მონრეალის გამოფენაზე გასაგზავნი ექსპონატების შეკვეთაც.

ფაბრიკამ ამ მსოფლიო მნიშვნელობის ღონისძიებაზე 8 დასახელების 550 ცალი ექსპონატი გაგზავნა. ღვინის დოქები — ძველი ქართული დოქების ფორმისა, ქართული ჩუქურთმული ორნამენტით მოხატული, მრავალნაირი ჭიქები, ვერცხლის ფიალების რამდენიმე ნიმუში თბილისის ხედებით, ფილიგრანული ზედაფენით მოხატული სირჩები, სადა საღვინე ჭიქები, ზოგი მოოქროვილი, ზოგიც შებურული, რომლებზეც რუსთაველის ბარელიეფია გამოსახული...

ქართველ ოსტატთა ნამუშევრებმა ატლანტის ოკეანე გადასერა. ანზორ ჭინჭარაშვილისა და სერგო სიხარულიძის ბრიგადის წევრები გახარებული არიან. საამაყოც აქვთ ოქროს ხელების მქონე ბიჭებს ავთანდილ გოგოსაშვილს, ოთარ დოლიძეს, გივი და ოთარ ფარადაშვილებს რაფიკ აირეკიანს, არმენ დავთიანს, საამქროს უფროსებს ნოდარ წერეთელსა და გურამ დოლიძეს. მათი ნამუშევრები ალბათ, მსოფლიოს ყურადღებას მიიქცევს.

ჩვენ გვჯერა, რომ ასეც იქნება, რადგან ქართული ოქრომჭედლობის ტრადიციებს, მონდომებას, ძიებას თავისი გააქვს. ფაბრიკის კოლექტივი ცდილობს რაც შეიძლება მეტი რამ გააკეთოს საქართველოსათვის, ქართული ხელოვნებისათვის. ეს ჭეშმარიტად დიდი და სასახელო საქმეა.

ვინც ეძიებს, ის ყოველთვის ჰპოვებს, ამბობს ძველი სიბრძნე.

რ. ჭელიძე.

პროექტების კორციელდება

ბევრი საინტერესო რამ იქმნება საქართველოს სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტში. ზოგიერთ მათგანზე ჩვენს კორესპონდენტს უამბო მთავარი ინჟინრის მოადგილემ ბ. ი. ო.

— ზემო ალაზნის სისტემის საწარმოო ბაზის ჩვენს პროექტს შარშან მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედალი. თელავის მახლობლად მშენებლობაზე ბაზაში შედის რკინაბეტონის ნაკეთობათა სპეციალიზებული ქარხანა, რომლის სიმძლავრეა 40 ათასი კუბური მეტრი პროდუქცია, მანქანებისა და სამშენებლო მექანიზმების შემკეთებელი ქარხანა, რომელიც მომსახურებას გაუწევს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მთელ სისტემას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია აშენდეს მანქანების საექსპლოატაციო უნივერსალური ბაზა, ავტოგარაჟი და სხვ. პროექტის ერთ-ერთი თავისებურებაა ძირითად წარმოებათა ბლოკირება ერთ კორპუსში, რაც შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად შემცირდეს როგორც მძებნელობის, ისე ექსპლოატაციის ხარჯები. ამჟამად აქ მიმდინარეობს სამუშაოები მთავარი საწარმოო კორპუსის დასამონტაჟებლად.

რუსთავში ჩვენი პროექტით შენდება ლუდის წარმოების ძირითადი ნედლეულის — ალაოს უდიდესი ქარხანა. საწარმოს სიმძლავრეა 10 ათასი ტონა პროდუქცია წელიწადში. ქარხანა აღიჭურვება უნიკალური მოწყობილობით და უზრუნველყოფს ალაოთი მთელ ამიერკავკასიას.

მომავალ წელს ჩვენი პროექტით დაიწყება რუსთავის ქიმიური რეაქტივების ქარხნის მშენებლობა, რომელიც გამოუშვებს ფერიტის ფხვნილს, მანგანუმის შენაერთებს, სხვადასხვა რეაქტივსა და სხვა პროდუქციას.

1968 წელს მოქმედთა მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი საწარმო — თბილისის ფარმაცევტული ფაბრიკა, რომელიც შენდება ქარხანა „თბილხელსაწყოს“ მეზობლად.

ინსტიტუტის თანამშრომლები ეხმარებიან საზღვარგარეთის ქვეყნებსაც. ქალაქ კრემიკოვცის (ბულგარეთი) მეტალურგიული კომბინატისათვის დაპროექტებულია დგანი „250“, ხოლო კომბინატ „აღმოსავლეთისათვის“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — ცივი გლინვის საამქროს საძირკვლები, მოწყობილობა და მიწისზედა ნაგებობანი.

ლითონის სიმღერა

ქართულ სახვით ხელოვნებაში დღეს უველაზე ძლიერად ლითონი ჟღერს. ჭედურობამ გაიტაცა ქართველ შემოქმედთა დიდი ნაწილი. მათ მიერ შესრულებულ ნამუშევრებს შეხვდებით უველგან: ბოტანიკურ ბაღში და რესტორანებში, სასტუმროებსა და სკოლებში, აბანოებსა და ქუჩებში. მხატვრულ სალონში ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ ჩამოსული სტუმრები ქართველ ხელოვანთა ნამუშევრებს. ჭედურობის ასეთი პოპულარობა, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რადგან იგი უკვე გასცდა რესუბლიკის ფარგლებს და მრავალი თაყვანისმცემელი და ამღიარებელი გაიჩინა სხვადასხვა ქვეყნებში თავისი პერსპექტიული განვითარებით.

თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნება 1958 წელს დაიბადა. მისი დაბადება დაკავშირებულია დიდი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის სახელთან, რომლის დაბადების 90 წლისთავი წელს ზეიმით აღნიშნა მთელმა ქართველმა ხალხმა.

1958 წლის გაზაფხულზე იაკობ ნიკოლაძის მოწაფემ ირაკლი ოჩიაურმა საშემოდგომო გამოფენაზე გამოიტანა თავისი მასწავლებლის პორტრეტი. თუნუქზე ამოჭედილ პორტრეტს ცოტამ თუ მიაქცია ყურადღება. მხოლოდ ზოგნი დაინტერესდნენ შესრულების ტექნიკით. ასე დაიბადა ახალი ქართული ჭედურობა.

ახალგაზრდა მოქანდაკეს ირაკლი ოჩიაურს ჭედურობის სიყვარული თავისი მასწავლებლისაგან გადმოედო. მან მთელი თავისი აზრები, გრძნობები და ნიჭი ჩააქსოვა ნამუშევრებში, რომლებიც რთული, მრავალფეროვანი და თავისებური კომპოზიციებით გამოირჩევა.

მალე ოჩიაურზე ლაპარაკიც დაიწყეს, მას მიმდევრებიც გაუჩნდა. ბოლოს კი ახალგაზრდა ხელოვანი თვით გახდა მასწავლებელი.

ლითონის დამუშავების ოსტატობას იგი ნიჭიერ ახალგაზრდებს გადასცემდა, თვითონ კი ქმნიდა ახალ-ახალ ნამუშევრებს. ფართოვდებოდა მისი ინტერესების სფერო.

ვისაც კი უნახავს ირაკლი ოჩიაურის დინამიკითა და რიტმის მელოდიურობით, გრაციოზულობით, ვაუკაცობით სავსე ნამუშევრები: „ქალიშვილი სურით“, „სამაია“, „ხორუმი“, ვერ დაივიწყებს გასაფრენად გამზადებულ სხეულებს, სხარტ, თამამ ხაზებს და სინარნარეს.

ირაკლი ოჩიაური შესანიშნავად იცნობს ქართული ცეკვის ბუნებას. იგი ყოველთვის თითქოს გაკვირვებულია ადამიანის სახის, სხეულის, მოძრაობის სილამაზით. ალბათ ამიტომ უწოდებენ მის ჩასაფიქრებელსა და მართალ ნამუშევრებს „ლითონში ნათქვამ სიმღერას“.

ირაკლი ოჩიაურის ათიოდე ნამუშევარი გაიგზავნა მონრეალში, მათ შორის არის ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული ჭეშმარიტად დიდი ოსტატობით შექმნილი პორტრეტები და პანოები.

ქართული ჭედური ხელოვნების კარი ამ უკანასკნელ წლებში მრავალმა ნიჭიერმა შემოქმედმა შემოაღო. თვითეულმა მათგანმა საკუთარი აზრი შემატა მის საგანძურს.

მათ რიცხვს მიეკუთვნება კობა გურული, ახალგაზრდა ნიჭიერი მოქანდაკე. მას შეუძლია დიდი ოსტატობით მოაქციოს ლითონში პოეტური აზრი, ის ფიქრი და განცდა, რაც უველას აღელვებს. უზარმაზარი მშფოთვარე, ძალზე საინტერესო ცხოვრება თითქოს წუთით დაუჭერია მას და ლითონში მოუქცევია.

კობა გურული ქართულ ლეგენდათა და თქმულებათა განსახიერების ნიჭიერი ოსტატია, ხშირად მის ნამუშევრებს განუმეორებელსაც კი უწოდებენ. „მარანი“, „ლირიკული ნანა“, „რუსთაველი თამარის პორტრეტის წინ“, „ვეფხვი და მოყმე“ და მრავალი სხვა საინტერესოა გამოხატვის თავისებური ხერხებით.

კობა გურულს უკვე იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. მის ნამუშევრებს საზღვარგარეთაც მრავალჯერ დაუმსახურებია მოწონება, ალბათ მონრეალშიც ჩააფიქრებს დამთვალიერებლებს ფილოსოფიური, ოდნავ სევდიანი სახე მზეთუნახავი მეფის — თამარის წინ მუხლმოყრილი რუსთაველისა...

მონრეალის გამოფენაზე გაიგზავნა აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი ოსტატების დ. ყიფშიძის, ს. ქოჩიაშვილის, გ. გაბაშვილის ნამუშევრები.

ქართული ფერწერის ღირსებას დაიცავენ გ. თოიძე, ლ. ძაძამიძე, ე. კალანდაძე, ჯ. ხუციშვილი...

„მხატვრის კვირეულმა“ თბილისში გაზაფხულის დაიწყო. ბუნებამ გაიღვიძა და მხატვრები შეუდგნენ ახალ მოგზაურობას შემოქმედებით სამყაროში... წელს მათ ატლანტის ოკეანე გადასერეს. გზები გრძელი, უსასრულოა, და ქართველ მხატვრებს არასოდეს არ უჭირთ მათზე სიარული.

* * *

სურათებზე: ქვემოთ, მარცხნივ — ი. ოჩიაურის „ახალგაზრდობა“, მარჯვნივ, ზემოდან — დ. ყიფშიძის „ხევსური გოგონა“ და „ბოროტება სძლია კეთილმან...“







მობრძანდით, დაისვენეთ

საქართველოს კურორტები კარგად მოემზადნენ საზაფხულო სეზონისათვის. ჯანმრთელობის კერების ბევრი შენობა და დამხმარე სათავსები კაპიტალურად შეკეთდა. სამკურნალო კაბინეტებში, სასადილოებში, დასვენებისა და საძინებელ ოთახებში დადგმულია ახალი ავეჯი, ინვენტარი. შესრულდა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ტერიტორიის კეთილმოწყობის, მათი ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის სამუშაოები.

ახტალის, საირმის, ჯავის კურორტების სანატორიუმებმა უკვე მიიღეს პირველი დამსვენებლები. მალე სეზონს გახსნიან პანსიონატი „ნაბეღლავი“, ბახმაროს დასასვენებელი სახლი „მზის ამოსვლა“, შოვის, უწერის დასასვენებელი სახლები.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დასახა ჯანმრთელობის კერების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. უახლოეს ხანში ახალი დასასვენებელი სახლები აშენდება უწერაში, ბორჯომში, ქობულეთში და სხვა კურორტებზე. უფრო სრულად იქნება გამოყენებული ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები.

* * *

ეს სურათი (მარჯვნივ) გაზეთ „სამშობლოს ხმის“ სპეციალურმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ ამ დღეებში გადაიღო ბიჭვინთაში. შავიზღვისპირეთის ეს ულამაზესი ადგილი სულ მალე ჯანმრთელობისა და დასვენების ერთ-ერთ უდიდეს კერად გადაიქცევა. მობრძანდით, დაისვენეთ ბიჭვინთაში, მეგობრებო!

მოწინავე ქართული ენათმეცნიერებისა

გიორგი ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავი



სურათზე: გიორგი ახვლედიანი.

გიორგი ახვლედიანი, თანამედროვეობის შესანიშნავი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი კულტურის თავკაცთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელიც ერის დიდებასა და პრესტიჟს ქმნის. ამ სახელს ღრმა პატივისცემის გრძნობით წარმოთქვამენ ჩვენში და ძალიან კარგად იცნობს მთელი ლინგვისტური სამყაროც. გიორგი ახვლედიანის პიროვნებაში საოცარი ჰარმონიულობით არის შეხამებული სახე ერის დიდი მეცნიერის და დიდი მოქალაქისა. გ. ახვლედიანის მეცნიერულ ერუდიციასა და კეთილშობილურ ადამიანურ თვისებებს მოუხიბლავს ყველა, ვისაც კი მასთან რაიმე ურთიერთობა ან შეხვედრა ჰქონია.

ძნელია მისი დამსახურების უბრალო ჩამოთვლაც კი. ერთ-ერთი დამაარსებელი და უძველესი პროფესორი ქართული უნივერსიტეტისა; ფუძემდებელი (აკაკი შანიძესთან ერთად) და მამა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების და მთლიანად ქართული საენათმეცნიერო სკოლისა, ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი აკადემიკოსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა; შემქმნელი და თეორეტიკოსი მთელი რიგი საენათმეცნიერო დარგებისა ჩვენში (ზოგადი ენათმეცნიერება, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა, ლოგოპედია, ქართული რუსისტიკა), მესვეური და ხელმძღვანელი ბევრი სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებისა, გულთამხილავი მრავალი ენისა და ავტორი საქვეყნოდ ცნობილი გამოკვლევებისა ქართველურ და ინდო-ევროპულ ენათა ბგერითა სისტემის საკითხებზე; შემდგენელი უმაღლესი და საშუალო სკოლების ორიგინალური სახელმძღვანელოებისა, რომლებზედაც იზრდება და კვლავაც გაიზრდება ჩვენი ახალგაზრდობა; უბადლო მასწავლებელი და აღმზრდელი ენათმეცნიერთა თაობებისა, — ასეთია გიორგი ახვლედიანის სამეცნიერო და პედაგოგიური დამსახურების არასრული სია...

ამასთან ერთად, ჩვენ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. ახვლედიანი არის სათუთი გულის დიდი მოქალაქე. საოცარი გულკეთილობა, თავმდაბლობა, მშობლიური სითბო და სიახლოვე, ხალხის საქმისადმი ერთგულება, — აი, საუკეთესო ადამიანური ღირსებანი, რომლებიც ამკობენ მას.

ვის დავიწყდება გიორგი ახვლედიანის მუდამ ალერსიანი ღიმილი! ვინ არ დამტკბარა მისი დარბაისლური ქართულით, ბრწყინვალე ლექციებით, სამახსოვრო გამოსვლებით!

იგი სიყვარულით ემსახურება მშობელ ხალხს და მის კულტურას. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ განხორციელებულა ქართული კულტურის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ან ორგანიზატორი გ. ახვლედიანი არ ყოფილიყო. მას რჩევა-დარიგებისათვის მიმართავენ მოწაფეები და მეგობრები, პედაგოგები და მეცნიერები, შინაურნი და უცხოელნი. მათთვის მეცნიერი დროს ყოველთვის პოულობს: ყველასთან მახლობელი და შინაურია. დიდია მისი ღვაწლი მეცნიერების წინაშე. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით მომზადდა ათეულობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და გამოქვეყნდა ქართულ, რუსულსა და უცხოურ ენებზე. მან გაარკვია ქართული ფონეტიკის კარდინალური საკითხები, განვითარების მწვერვალზე აიყვანა ოსური ენის შესწავლა...

დღეგრძელი იყოს ერის კულტურის მხცოვანი ქომაგი, ქართული მეცნიერების ღვაწლმოსილი ალამდარი!

ალ. ღლონტი.

ციესაღმებიან, ქართველებს

თქვენი დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით გთხოვთ მიიღოთ ჩემი უაღრესად კეთილი სურვილები. იმედი მაქვს კვლავ ჯანსაღად და დაუცხრომელი ენერგიით აღსავსე ბრძანდებით.


გერტრუდ კეტჩი, იენა (გდრ).

გთხოვთ, გადასცეთ ჩემი მხურვალე მილოცვა და სურვილები დიდ ქართველ და საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერს ახვლედიანს. მე მივუძღვენი მას ჩემი ახალი გამოკვლევა რეტროფლესური იმპლოზივებისა და კლიჭსების საერთო დისტინქციური ნიშნის შესახებ, რომელიც, ვიმედოვნებ, გამოქვეყნდება თბილისში.

პროფ. რომან იაკობსონი,
აშშ, ჰარვარდის უნივერსიტეტი.

ოსლოს უნივერსიტეტი მხურვალედ მიესალმება აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 80 წლისთავის ზეიმს და იუბილარს ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებს.

ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი ჰანს ფოქტი,
(ნორვეგია)



შეხვედრა ლონდონში



ლონდონში, ვატერლოოს ხიდთან დგას უზარმაზარი საკონცერტო თეატრი, თანამედროვე არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში — „როიალ ფესტივალ ჰოლი“. იქ გაჩრილი აფიშები ინგლისის დედაქალაქის მცხოვრებლებს ქართული ცეკვების კონცერტზე იწვევდა. მე ლონდონში მეტი აფიშა არც მინახავს. თუმცა, როცა მათ კონცერტებს დავესწარი, მივხვდი, ქართულ ცეკვებს რეკლამა არ სჭირდებოდა. სამაითას ხუთასკაციანი დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო, ბილეთები კი იაფი როდი ღირდა: ორი გირვანქა სტერლინგი! (6 დოლარი). დარბაზში ტევა აღარ იყო მაშინაც კი, როცა „უემბლის“ სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ტარდებოდა ფეხბურთში. ამრიგად, იმპრესარიოს სრულებით არ უპიტნავებოდა ანსამბლის პოპულარიზაციისათვის ის ზედმეტი ხარჯი გაეწია.

როცა ჩვენმა თარჯიმანმა ქალბატონმა ბრაუნმა გაიგო, რომ ქართველი ვიყავი, თვალები გაუბრწყინდა.

— ქართველი ქალები თურმე ულამაზესნი ყოფილან მთელს მსოფლიოში, — მითხრა მან, — ლონდონში ყველა ამას ამბობს, ვინც კი თქვენი ანსამბლი ნახა.

მე გამეცინა და ერთი შემთხვევა გამახსენდა: ზუსტად ორი კვირის წინ საბჭოთა ჟურნალისტები სანდერლენდის ერთერთ ულამაზესი რესტორანში ვისხედით. იქ იყვნენ მწერლები ლ. კასილი, ი. ტრიფონოვი, ა. საფრონოვი, ჟურნალისტები და ფეხბურთის სპეციალისტები. ამავე რესტორანში ვახშმობდნენ ინგლისელები, იტალიელები, ჩილელები, უნგრელები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ქვეყნის „გულშემატკივრები“. საბჭოთა ჟურნალისტებს შორის კამათი ჩამოვარდა ინგლისელ ქალებზე, მათ თავისებურ სილამაზეზე. ამ დროს რესტორნის მთავარი შესასვლელში ჩვენი მოცეკვავე ქალიშვილები გამოჩნდნენ. ისინი დარბაზში ისე ნარნარად შემოვიდნენ, თითქოს იატაკს ფეხს არ აკარებდნენ. სახეზე ყველას ღიმილი გადაჰკრავდა. ვიღაცამ იმ წუთში თქვა — ასაფრენად გამზადებულ გედებს ჰგვანანო. რესტორანში ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გაჭვავდა, თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ მოაჯადოვა. თვით ტემპერამენტიან იტალიელ გულშემატკივრებსაც კი ჰაერში დარჩათ პირთან მიტანილი ჩანგალი.

თარჯიმანი კონცერტზე მოვიპატიჟე.

რაკი ამ წერილში მხოლოდ ქალებზე გვაქვს ლაპარაკი, იმასაც გავიხსენებ, რომ კონცერტს ესწრებოდა ჩერჩილის ქვრივი. მეუღლის სიკვდილის შემდეგ იგი პირველად იყო სანახაობაზე. მან კონცერტის შემდეგ ლოჟაში მიიპატიჟა ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, დიდი მადლობა გადაუხადა ანსამბლის ხელმძღვანელებს უდიდესი სიამოვნებისათვის და მათთან ფოტოსურათიც გადაიღო.

სანამ კონცერტი დაიწყებოდა, თარჯიმანმა მითხრა:

— მე მაინც მაქვს წარმოდგენა ქართველ ქალებზე. ინგლისში ერთი ქართველი მწერალი ქალი ცხოვრობს. სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს. იგი სრულიად ახალგაზრდაა და ძალზე ლამაზი.

კონცერტის დამთავრების შემდეგ კულისებში გავედით.

— აი, ის ქალიშვილიც! — აღტაცებით მითხრა თარჯიმანმა და მომცრო ტანის შავთვალწარბა ქალიშვილი დამანახვა.

იგი ნინო რამიშვილს ესაუბრებოდა. როცა გამეცნო და გაიგო, რომ ქართველი მწერალი ვიყავი, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლა უკვე ვიცოდი მისი სახელი და გვარი — თამარ დრაგაძე. თამარი ოცდაოთხი წლისაა. მას ძალზე ჭკვიანური, დაკვირვებული ადამიანის გამოხედვა აქვს. მან შინ მომიპატიჟა. სულ მალე მანქანამ გადაკვეთა ოჭსფორდ-სტრიტი და, გავედით „ჩელსიზე“, ჭუჩაზე, სადაც მხატვრები, მწერლები, მსახიობები და მუსიკოსები ცხოვრობენ.

თამარმა ექვსი ენა იცის. სამწუხაროდ, ქართული ენის ბევრი არაფერი გაეგება რა, პირველი, რაც მან მაჩვენა, ქართული ენის სახელმძღვანელო იყო.

— ნიკო ყიასაშვილმა მაჩუქა, — მითხრა მან, — იგი ამ რამდენიმე ხნის წინ იყო ლონდონში და მაშინ ჩამოიტანა; უკვე დავიწყე ჩემი მშობლიური ენის შესწავლა. შემდეგ შეხვედრაზე ალბათ ქართულად ვისაუბრებთ.

თამარმა მაგიდიდან ფირფიტა აიღო და რადიოლა ჩართო.

— ჩვენებური „მრავალჟამიერია“. ეს ფირფიტაც ნიკომ მაჩუქა.

თამარი ლონდონში დაიბადა. რამდენიმე წლის შემდეგ მისი ოჯახი პარიზში გადასახლდა. დიდხანს იცხოვრა მაროკოშიც. შემდეგ ისევ პარიზში დაბრუნდა და სწავლა პარიზის თეატრალური ხელოვნების სამეფო აკადემიაში გააგრძელა. მან მონაწილეობა მიიღო ამერიკელი დრამატურგის ტენესი უილიამსის მიერ გამართულ ფესტივალში. მაგრამ საბოლოოდ მაინც მწერლობამ გაიტაცა და სცენა მიატოვა. ერთ ხანს ესპანეთსა და იტალიაში ცხოვრობდა. შემდეგ კი ისევ ლონდონს დაუბრუნდა და ამჟამად უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება. თამარს ორი ძმა ჰყავს. ერთი მუსიკალური კრიტიკოსია იტალიაში და ამერიკულ ჟურნალ „ლაიფის“ საკუთარი კორესპონდენტია, მეორე ძმა კი ლონდონის საბალეტო დასის სოლისტია. თამარ დრაგაძე ოცდაორი წლისა იყო, როცა ლონდონის უდიდესმა გამომცემლობამ გამოსცა მისი რომანი „ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით“. რომანის მთავარი გმირია 19 წლის მაროკოელი ქალიშვილი არამანტა. ეს სრულიად გამოუცდელი ქალიშვილი ტანჯერში ჩადის. რომანში აღწერილია ის მძიმე, დაუნდობელი, ეგოისტური ურთიერთობანი, რაც საშუალოზე, არც თუ ისე უცხო ხილია ადამიანთა მოდგმისათვის. მწერალი ქალიშვილს (და საერთოდ ადამიანს) ადარებს ცეცხლზე შემოდგმულ რძეს, რომელსაც გახუწყვეტელი მოფრთხილება და ყურადღება სჭირდება.

— როგორ მინდა სამშობლოში ჩამოსვლა, სამწუხაროდ ჯერ ვერაფრით ვახერხებ. ვამთავრებ მეორე რომანს და ალბათ მისი გამოცემა დამაბრკოლებს. მომავალ წელს კი ხელს აღარაფერი შემიშლის, — მითხრა მან.

იმ დაუვიწყარ საღამოს თამარი მაროკოში მიემგზავრებოდა. მე იგი ვიქტორიას სადგურამდე გავაცილე. მატარებელი დაიძრა, თამარის თვალებში ცრემლი კიაფობდა.

როგორ მინდოდა მაშინ რაღაც ისეთი მეჩუქნა თამარისათვის, რომელიც ყოველ წუთს სამშობლოს გაახსენებდა. სამწუხაროდ, საათის მეტი არაფერი მქონდა.

მატარებელი თვალს მიეფარა. მე ისევ რეკლამებით გაჩირაღდნებულ მოედანზე გამოვედი და მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ ლონდონში ვიყავი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თბილისიდან გავცილებდი ძვირფას სტუმარს.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ტელევიზორში გამოვედი. საფეხბურთო ჩემპიონატის ამბებთან ერთად თამარ დრაგაძეზეც ვილაპარაკე. მეორე დღეს თურმე არანაკლები სიურპრიზი მელოდა: რედაქციაში მომცრო ტანის ლამაზი ქალიშვილი, იგი პარიზიდან სტუმრად ჩამოსული ქართველი ირინე ტარასაშვილი აღმოჩნდა.

ირინე ტარასაშვილი მხატვარი ყოფილა და სწორედ მას გაუფორმებია თამარ დრაგაძის პირველი წიგნი.



თამარ დრაგაძის არასდროს არ ყოფილა საქართველოში, არ აღზრდილა თავისი ერის ტრადიციებზე, არ იცის მშობლიური ენის სურნელი, მაგრამ მის გამოხედვაში მაინც იგრძნობა ის სევდა, რომელიც ყოველთვის თან დასდევს სამშობლოს, საკუთარ მიწას მოცილებულ ადამიანებს.

ვიცი, ამ მოგონებას წაიკითხავს თამარ დრაგაძე და მინდა მას მხოლოდ ერთი რამ ვუთხრა: სამშობლო ელის თავის შვილებს.

გურამ ფანჯიკიძე.

სურათებზე: ზემოთ, მარცხნივ — თ. დრაგაძე, მარჯვნივ — ი. ტარასაშვილი. ქვემოთ — ე. ფაღავა ავტოგრაფს აძლევს მაყურებელს.

რედაქციისაგან:

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებმა ბევრმა ჩვენმა თანამემამულე ქალმა ისახელა თავი. ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენს რედაქციას სხვადასხვა დროს ესტუმრა საფრანგეთში მცხოვრები ირინე ტარასაშვილი და ეთერ ფაღავა. მხატვარ ქალს ირინე ტარასაშვილს აუხდა ნაოცნებარი: მან საკუთარი თვალით იხილა საქართველო, რომელზეც ამდენი რამ გაეგონა და წაეკითხა. თბილისში ჩამოსვლისთანავე იგი ჩვენს რედაქციაში მოვიდა. ბევრი რამ გვიამბო ამ შავგვრემანმა ქალიშვილმა თავის შემოქმედებაზე, მომავლის მიზნებზე... ირინემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა, რომ თავისი პირველი წიგნის გაფორმება სწორედ მას დაავალა მწერალმა თამარ დრაგაძემ: გულმა გული იცნო. ასე დაამეგობრა ხელოვნებამ სამშობლოდან შორს მყოფი ორი ქართველი ქალიშვილი.

ეთერ ფაღავას სახელი უკვე კარგა ხანია ბრწყინავს ხელოვნების მრავალ შესანიშნავ მოღვაწეთა შორის. ჩვენში არა ერთი წერილი გამოქვეყნებულა პარიზის „გრანდ ოპერის“ ამ მოწინავე სოლისტის შესახებ. ეთერ ფაღავას ცეკვას ამ ცოტა ხნის წინათ ქართველმა მაყურებელმაც მისცა მაღალი შეფასება. ჩვენი ოპერის სცენაზე ვიხილეთ მისი შესანიშნავი ხელოვნება. რედაქციაში სტუმრად მოსულმა ეთერმა გაგვანდო სამშობლოს ნახვით გამოწვეული სიხარული. ორივე ქართველ ქალს გაუძნელდათ სამშობლოს დატოვება. მაგრამ იმედად გაჰყვათ რწმენა იმისა, რომ კვლავ ჩამოვლენ საყვარელ საქართველოში. წასვლისას კი სამახსოვროდ თავიანთი ფოტოსურათები დაგვიტოვეს და გვთხოვეს, „საქართველოს ქალის“ მკითხველებისათვის მათი კეთილი სურვილები გადაგვეცა.

დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს ქალში“, № 5, 1967 წ.

გამარჯვება პარიზში


ნანა იაშვილი — პარიზის ჟაკ ტიბოს სახელობის მევიოლინეთა კონკურსის ლაურეატი

პარიზში გაიმართა ჟაკ ტიბოს სახელობის მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსი. მკაცრი ჟიურისა და მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე წარსდგა ექვსი ახალგაზრდა მუსიკოსი, რომლებმაც შეასრულეს კონცერტები ვიოლინოსათვის ორკესტრთან ერთად.

ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემია მიენიჭა ჩვენს თანამემამულეს, 18 წლის ნანა იაშვილს. ნანა მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტია. იგი საქვეყნოდ ცნობილი მევიოლინის მარინე იაშვილის დაა. ეს მისი პირველი გამარჯვებაა საერთაშორისო კონკურსში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დროს პარიზის ჟაკ ტიბოსა და მარგარიტა ლონგის საერთაშორისო კონკურსში წარმატებით გამოსულან სხვა ქართველი მუსიკოს-შემსრულებლებიც. კერძოდ აქ პირველი პრემია მოიპოვეს ნინო ჭოჭუა და ელისო ვირსალაძემ.

„სამშობლოს ხმის“ რედაქცია სულით და გულით ულოცავს ახალგაზრდა შემსრულებელს ამ დიდ გამარჯვებას და კვლავ მრავალ წარმატებას უსურვებს ჩვენი სამშობლოს სახელოდ.



სურნელოვანი ველები

ეს ის ველებია, საიდანაც იწყება პარფიუმერია. მართალია, მათი ფართობი დიდი არ არის აფხაზეთში, სულ შვიდასი ჰექტარია, მაგრამ თითოეულ ფლაკონ საუკეთესო სამჭოთა სუნამოში არის შავიზღვისპირეთის მზიანი ველების სურნელება. შემთხვევით როდი ჩამოვიდა სტუმრად გალის ეთერზეთოვანი საბჭოთა მეურნეობა — ქარხნის მშრომელებთან საპარფიუმერიო მრეწველობის ტექნოლოგთა ჯგუფი. მათ აინტერესებდათ ნედლეულის ხარისხის გაუჯობესების საკითხები.

ეს მეურნეობა დიდი არ არის. მისი მიწის სავარგულები სულ დაახლოებით ორმოცდაათ ჰექტარს შეადგენს, მაგრამ მათი ნახევარი უკავია სურნელოვან პლანტაციებს. ამ სპეციალიზებული მეურნეობის ადამიანები ამაყობენ ზეთის ნემსიწვერას, რეჰანის, კაზანლიკური ვარდის, ევკალიპტის პლანტაციებით. შრომატევადია მათი მუშაობა. რამდენიმე ათას ტონა მწვანე მასას იღებენ ისინი, რომ გამოიმუშაონ ქარხნისათვის დაგეგმილი დაახლოებით ტონანახევარი ეთეროვანი ზეთი. წელს აქ უნდა დამზადდეს ათი ტონა კაზანლიკური ვარდი. ეს საპარფიუმერიო მრეწველობას სულ ათ კილოგრამ ძვირფას ზეთს მისცემს.

მშრომელები იბრძვიან სურნელოვანი მოსავლის გადიდებისათვის. ჯერ კიდევ შემოდგომაზე აქ დაამზადეს ზეთის ნემსიწვერას 1.570 ათასი კალამი, აქედან 620 ათასი № 24 უხვმოსავლიანი ჰიბრიდისაა. მათ კარგად გამოიზამთრეს სათბურებში. დახურულ გრუნტში 800 კვადრატულ მეტრ ფართობზე გამოიყვანეს რეჰანის ჩითილი.

წელს საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა ჩვენი ქვეყნის საპარფიუმერიო მრეწველობას გაუგზავნის ზეთის ნემსიწვერას, რეჰანის, ვარდის და სხვა სურნელოვანი მცენარეების 1.500 კილოგრამზე მეტ ეთეროვან ზეთს.

ყვარლის „რიწა“

ეს სახელი პირობითია. ისე კი ყვარლის მშრომელები ფიქრობენ ახალ ზღვას უწოდონ დიდი ილიას სახელი, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოს ამ ულამაზესი რაიონის ყოველ კუთხესთან. მაღლა მთებში, რაიონის ცენტრის მახლობლად ყვარლის „რიწის“ ტალღები ხმაურობენ. წყლის სარკისებურ ზედაპირს მსუბუქი კატარღები სერავენ, ნიჩბების ტლაშუნი ისმის.

ტყის მწვანე მასივებით დაფარული მთები გარს შემორტყმიან ყვარლის მშრომელთა ამ საყვარელ დასვენებისა და გართობის ადგილს. რაიონის თითქმის ყოველი კუთხიდან მოდიან აქ მინდვრის მშრომელები კვირადღეს, რათა შინაარსიანად დაისვენონ ბუნების წიაღში. ეს ზღვა ხომ მათი ხელით არის შექმნილი საზოგადოებრივ საწყისებზე. საუკუნეებით მიგდებული ადგილების გარდასაქმნელად ყვარლის მშრომელთა ბევრი შრომა და ენერგია დაიხარჯა. უკაცრიელ ქვაბულში მიუშვეს მთის მდინარეები ჩაგურგურა და ბურსა, გაიყვანეს გზა, ზღვის ნაპირზე ააგეს კაფე-რესტორანი, წყალში თევზი გაუშვეს მოსამრავლებლად.

ხელოვნური ზღვის სიღრმე 30 მეტრს აღწევს, მისი ზედაპირი — 120 ჰექტარს აღემატება. ახალი ზღვა გამოიყენება როგორც წყალსაცავი. მისი წყლებით მოირწყვება რაიონის 2.000 ჰექტარზე მეტი ბაღ-ვენახები.

სურათზე: ყვარლის „რიწის“ ერთ-ერთი კუთხე.

შენდება რუსთაველის მემორიალი

შოთა რუსთაველის მემორიალი თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი არქიტექტურული ანსამბლი იქნება. იგი შენდება თბილისის ზღვის ტერიტორიაზე. მისი ავტორები არიან არქიტექტორები ა. ბაქრაძე, ნ. ჯობაძე, მხატვარი ო. ლითანიშვილი, საინჟინრო ნაწილი დაამუშავეს შ. გაზაშვილმა და ი. ბინიაშვილმა.

— არქიტექტორთა წინაშე რთული ამოცანა იდგა, — უამბო გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს ალექსანდრე ბაქრაძემ. — ჩანაფიქრით მემორიალი უნდა მდგარიყო სიმაღლეზე და ამიტომ იგი არ შეეგუებოდა ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლს. გარდა ამისა უნდა გაგვეთვალისწინებინა თბილისის განვითარების პერსპექტივები. ყოველივე ამის გამო ავირჩიეთ ადგილი თბილისის ზღვის რაიონში. ეს არის პლატო, რომელიც გადაჰყურებს ქალაქს და წინ წამოწეულია კონცხის სახით ზღვისკენ მიმავალ ახალ გზასთან. იგი მოჩანს ქალაქის ყოველი წერტილიდან. ადგილის თავისებურებებმა გვიკარნახეს მემორიალის საერთო ანსამბლი.

ანსამბლი მთავრდება ვერტიკალური ნაწილით, რომელიც ოთხი მძლავრი 40-მეტრიანი პილონისაგან შედგება, რომლებიც გარს არტყიან მემორიალურ ქვას. ხოლო 30 მეტრი სიმაღლიდან დაკიდულია დეკორაციულ-სკულპტურული ჯგუფი, ქართული ეროვნული მოტივებით გაფორმებული.

ვერტიკალური ნაწილის წინ კლდის რელიეფში ჩაიწერება ღია თეატრი ასპარეზიანად, სადაც ყოველწლიურად რუსთაველის დღეებში მოეწყობა პოეტების ტრადიციული შეჯიბრება, აგრეთვე პოეზიის საღამოები.

ანსამბლში იქნება პოეტის მუზეუმი. აქ გამოაფენენ ყველაფერს, რაც დაკავშირებულია უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელთან. მთელი ანსამბლი დაიკავებს 10 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიას.

რუსთაველის მემორიალის მშენებლობას აწარმოებს „ამიერკავკასიის ტრანსმშენის“ ტრესტის 131-ე სამშენებლო სამმართველო.

მდიდარი კოლექცია

მედლების მდიდარი კოლექცია, რომელიც მოგვითხრობს *მეფუტკრეობის განვითარებაზე ევროპის* ბევრ ქვეყანაში, შეაგროვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს *მეფუტკრეობის* სადგურის სწავლულმა მდივანმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ზურაბ მაყაშვილმა.

ეს მედლები 40-ზე მეტია. ჟამთასვლისაგან გაფერმკრთალებული ნიმუშები მრავალფეროვანია. მათ შორის არის უნიკალურებიც, რომლებითაც ამაყობს კოლექციონერი. აი, მაგალითად, მედალი, რომელიც მოჭრილია 1765 წელს. კოლექციაში არის აგრეთვე მედლები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოუშვიათ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში.

მედლების ერთი ნაწილი მოგვაგონებს ღირსახსოვარ თარიღებს ავსტრიის, პოლონეთის, გერმანიის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების მეფუტკრეობის განვითარებაში.

ზ. მაყაშვილი მედლებს გარდა აგროვებს მეფუტკრეობის ტერმინებსაც. დიდ პრაქტიკულ ინტერესს იწვევს მეფუტკრეობის ლექსიკონი, რომლის დასაბეჭდად მომზადება ავტორმა უკვე დაამთავრა.

ამ ნაშრომში მას ძალიან დაეხმარა რამდენიმე ევროპული ენის — ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური და პოლონური ენების ცოდნა. 4.000 სიტყვა ქართულ, რუსულ, ლათინურ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე გამოხატავს მეფუტკრეობის ყველა ცნობილ ცნებას.

1/9-5/67.

სპორტული მიმოხილვა

◆ შესვენების შემდეგ ◆ მსოფლიოს ჩემპიონი უძლიერესია ◆ ო. ფხაკაძე — სპრინტის მეფე ◆ უიმბლდონის წინ ◆ ახალი რეკორდები ◆ დინამოელთა ასპარეზობა.

ფეხბურთი. საკავშირო ჩემპიონატის ორკვირიანი არდადეგები დამთავრდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ნაკრებმა მატჩები გამართა საფრანგეთში (4:2), ევროპის ჩემპიონატის პირველობაზე ავსტრიასთან (4:3), სკანდინავიის ნაკრებთან (2:2), ოლიმპიური ნაკრები კი მონრეალს ესტუმრა და იქ საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა. თბილისის „დინამოდან“ პირველ ნაკრებში თამაშობდა მ. ხურცილავა, ოლიმპიურში — რ. ურუშაძე და გ. ნოდია.

თბილისელები ამ ბოლო ხანებში როდი არიან განებივრებულნი საერთაშორისო მატჩებით. ამიტომ ბრაზილიის საკლუბო გუნდის „ფლამენგოს“ ჩამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მანამდე „ფლამენგომ“ მოსკოვის „დინამოსთან“ წააგო (1:3), ბაქოს „ნეფტიანიკს“ კი მოუგო (1:0).

დინამოელებს უყვართ ბრაზილიელებთან თამაში, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს. ამჯერად თბილისელები უფრო სწრაფნი აღმოჩნდნენ და დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 4:0. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ჩვენი მეტოქე როსტოვის სკა იყო. მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა. ქუთაისელებმა ფრედ — 2:2 ითამაშეს დონეცკის „შახტიორთან“. მართალია, მასპინძლები იგებდნენ პირველ ტაიმს 2:0, მაგრამ ადრე დაკმაყოფილდნენ მიღწეულით და საშუალება მისცეს დონეცკელებს გაექვითათ ანგარიში.

ჰანდბალი. კიევში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც თავისი შემადგენლობით მეტად ძლიერი იყო და არაფრით არ ჩამოუვარდებოდა პრეტენდენტთა ტურნირებს. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა აქ მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელმაც ერთი ტურით ადრე გაიანაღდა პირველი ადგილი. გადამწყვეტ პარტიებში მე-8 და მე-10 ტურში ნონამ შესანიშნავი სტილით მოუგო ძირითად მეტოქეებს რუმინელ ა. ნიკოლაუსა და კ. ერეტოვას. ამის შემდეგ მას აღარ გაუშვია ხელიდან ლიდერობა და დაუმარცხებლად განვლო ტურნირი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ნანა ალექსანდრიამ არათანაბრად ჩაატარა ასპარეზობა. ნანა საგამოცდო სესიების შემდეგ გაემგზავრა კიევში და მეტად გადაღლილი იყო, პარტიების დასკვნითს ნაწილში იგი საგრძნობლად იღლებოდა. როგორც საბჭოთა ქალთა გუნდის მწვრთნელმა ი. კონსტანტინოპოლსკიმ განაცხადა, ნანას და სხვა საბჭოთა მოჭადრაკეების მიზანი იყო ევარჯიშნათ და ბოლომდე არ გამოემჟღავნებინათ თავიანთი ძალა.

ვოლორბოლა. გაზეთ „სოვეტსკი სპორტი“ წერდა: „აშკარაა, რომ ახლა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ომარ ფხაკაძეს სერიოზული კონკურენტი არა ჰყავს სპრინტში ჩვენს ქვეყანაში, იგი აშკარად უძლიერესია“. ომარმა მართლაც ბრწყინვალედ დაამტკიცა ეს ორ საერთაშორისო ასპარეზობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ტრიუმფი ტულის ტრეკზე. მისი მეტოქეები, გარდა უძლიერესი საბჭოთა სპორტსმენებისა, იყვნენ იტალიელები, დანიელები, ჩეხები და სხვ. მალე დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონატი და ო. ფხაკაძის სპორტული ფორმა იმაზე მეტყველებს, რომ მას შეუძლია დაიბრუნოს მსოფლიოში უძლიერესის სახელი.

თბილისის ტრეკზე ორ დღეს მიმდინარეობდა შეჯიბრება რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. ასპარეზობა ჩვენმა სპორტსმენებმა მოიგეს (4:2) (არ გამოდიოდა ო. ფხაკაძე). გიტში სვლით 200 მეტრზე პირველი იყო მ. გაგნიძე, მანვე მოიგო სპრინტიც. გუნდურ რბოლაში 4 კილომეტრზე საქართველოს გუნდმა პირველი



ადგილი დაიკავა და რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა.

ჩოგბურთი. კორტებზე მოვლენები სწრაფად ცვლიან ერთმანეთს. საბჭოთა გუნდი დევისის თასის ევროპის ზონის ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ესპანეთის ძლიერი გუნდი იქნება. ნახევარფინალში კი ჩვენმა ჩოგბურთელებმა დაამარცხეს ჩილეს გუნდი. ეს შეხვედრა მოსკოვში გაიმართა და უკვე მეორე დღეს ანგარიში 3:0 იყო. ასე რომ დარჩენილ ორ შეხვედრას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და ჩვეულება თამაშობენ გაიმართა მოთამაშეები გაიოსუკასი. მაგალითად კი, ასპარეზობის იყოველ დღეს ა. მეტრეველმა ო. ფხაკაძე (3:1), ს. ლობანოვს ა. ლიობაჩოვის ჯგუფილა ადვილად დაამარცხა (3:0) პიონერ-ორავოსა და როდრიგესის წყვილი. საბჭოთა გუნდისათვის ევროპის ზონის ფინალში გასვლა დიდი წარმატებაა, ადრე ასეთი შედეგი მათ არასოდეს არა ჰქონიათ, შარშან კი პირველ ტურშივე დამარცხდნენ.

წარმატებას მიაღწია თ. კაკულიამ. იგი პირველად გამოვიდა ბალახიან კორტებზე „ა“ ტურნირში, სადაც 48 მონაწილე იყო და პირველი ადგილი დაისაკუთრა. ფინალში თეიმურაზმა დაამარცხა ინგლისელი კ. ბლენდი (9:7, 6:1).

საიუბილეო სპარტაკიადა. რასაკვირველია, № 1 მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ხალხთა სპარტაკიადაა, რომელიც ამავე დროს საიუბილეოც არის. და თუ ცხოვრების ყოველ სფეროში ჯამდება შედეგები, აქაც ასეა — სპორტულ შედეგებს ვაჯამებთ, მით უმეტეს, რომ მიღწევები მართლაც დიდია.

საკავშირო სპარტაკიადას წინ უძღვის



ნატი ეს-ეს არის დამთავრდა. საბჭოთა ჩოგბურთელებს შორის ერთეულთა თანრიგში მხოლოდ ა. მეტრეველმა მიაღწია ნახევარფინალს და აქ დამარცხდა ტურნირში გამარჯვებულთან ავსტრიელ ო. დევიდსონთან (5:7, 3:6). ა. მეტრეველი ფინალში გავიდა შერეულ წყვილთა და წყვილთა თანრიგში, მაგრამ ორივეჯერ წააგო.

უიმბლდონის ტურნირამდე ტარდება კიდევ ერთი ასპარეზობა, ბრძოლა „კუინს კლაბის“ პირველობაზე. აქ ა. მეტრეველმა უკვე მოიპოვა გამარჯვება იაპონელ კ. იანაგიზე (6:2, 6:4). დანარჩენი საბჭოთა ჩოგბურთელები პირველ წრეშივე დამარცხდნენ.

წარმატებას მიაღწია თ. კაკულიამ. იგი პირველად გამოვიდა ბალახიან კორტებზე „ა“ ტურნირში, სადაც 48 მონაწილე იყო და პირველი ადგილი დაისაკუთრა. ფინალში თეიმურაზმა დაამარცხა ინგლისელი კ. ბლენდი (9:7, 6:1).

საიუბილეო სპარტაკიადა. რასაკვირველია, № 1 მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ხალხთა სპარტაკიადაა, რომელიც ამავე დროს საიუბილეოც არის. და თუ ცხოვრების ყოველ სფეროში ჯამდება შედეგები, აქაც ასეა — სპორტულ შედეგებს ვაჯამებთ, მით უმეტეს, რომ მიღწევები მართლაც დიდია.

საკავშირო სპარტაკიადას წინ უძღვის რესპუბლიკური სპარტაკიადები, რომლებიც ეს-ეს არის დამთავრდა ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოს სპარტაკიადის მიზანი ნათელია: ძალთა შემოწმება, ნაკრების დაკომპლექტება, რათა საკავშირო სპარტაკიადაზე კვლავ მოწინავეთა რიგებში ვიყოთ.

საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადამ ცხადყო საქართველოს სპორტსმენთა ძლიერების შემდგომი ზრდა. ასპარეზობის მსვლელობისას დამყარებული იყო არა ერთი და ორი რეკორდი, როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო. მრავალმა სპორტსმენმა შეასრულა ოსტატის ნორმატივი.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა. პირველი ადგილი წილად ხვდა თბილისის გუნდს — 366 ქულა, მეორეზე ჟუთაისელები გამოვიდნენ — 311 ქულა, მესამეზეა აფხაზეთის გუნდი — 303 ქულა, მეოთხეზე — აჭარა — 302 ქულა, მეექვსეზე — ფოთი — 200,5 ქულა, მეშვიდეზე — სამხრეთ ოსეთი — 142,5 ქულა, მერვეზე — ბორის გუნდი, მეცხრეზე — ტყიბული, მეათეზე — ჰიათურა.

კალათბურთი. როგორც ალბათ კარგად მოგეხსენებათ, კალათბურთის ისტორიაში საბჭოთა სპორტსმენები პირველად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. გუნდში გამოდიოდა თბილისის „დინამოს“ მოთამაშე ზურაბ საპანდელიძე, რომელიც ერთ-ერთი ნაუკეთესო იყო და რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გუნდის საერთო წარმატებაში. თბილისის „დინამოელები“ კი სოფიას გაემგზავრნენ, სადაც მიმდინარეობს სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ კოლექტივების შეჯიბრება. საბჭოთა კავშირიდან აქ სისტემატურად გამოდის თბილისის „დინამო“, როგორც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი დინამოელთა კოლექტივი, რომელსაც არაერთხელ მოუპოვებია პირველობა ზემოაღნიშნულ ტურნირში.

ო. ლორთქიფანიძე.

• • •

სურათებზე: „დინამოსა“ და „ფლამენგოს“ კაპიტნების მისალმება მატჩის წინ; ერთ-ერთი მომენტი „ფლამენგოს“ კართან.

გაეცანით საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საქართველო ილუსტრირებული

სარედაქციო კოლეგია

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.